

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



ჯანმრთელობის დაცვა საქართველო



სტატისტიკური ცნობარი
2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

ჯანმრთელობის დაცვა

სტატისტიკური ცნობარი

საქართველო

2019

თბილისი
2020



წინასიტყვაობა

სტატისტიკური ცნობარი “ჯანმრთელობის დაცვა” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ერთობლივი ყოველწლიური გამოცემაა, რომელშიც წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ცნობარი გამოიცემა 1996 წლიდან.

ცნობარი მომზადებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე.

მონაცემები წარმოდგენილია ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის შესაბამისად.

ცნობარში მოყვანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოყენებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც განაპირობებს საქართველოს მაჩვენებლების შედარებადობას სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

ცნობარში განხილულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, გადამდები და არაგადამდები დაავადებების მაჩვენებლები და მონაცემები და მაჩვენებლები კლასების მიხედვით: ინფექციური და პარაზიტული, ონკოლოგიური, სისხლის მიმოქცევის, ენდოკრინული, სუნთქვის ორგანოთა, შარდსასქესო სისტემის, ფსიქიური და ქცევითი აშლილობები და სხვა.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
თავი 1	საქართველო მდგრადი განვითარების მიზნების ჭრილში
თავი 2	დემოგრაფია
	ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები
	მოსახლეობა
	შობადობა
	სიკვდილიანობა
	ბუნებრივი მატება
	სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა
თავი 3	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება
	ჯანდაცვის სისტემის ადამიანური რესურსები და ჯანდაცვის ქსელი
	ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია
თავი 4	იმუნიზაცია
თავი 5	მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა
	გადამდები ავადმყოფობები
	Covid-19
	ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი
	აივ-შიდსი
	ვირუსული ჰეპატიტი C (HCV)
	წითელა
	ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება
	ცოფი
	მალარია
	სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
	არაგადამდები ავადმყოფობები
	სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები
	ჰიპერტენზიული ავადმყოფობა
	გულის იშემიური ავადმყოფობა
	ცერებროვასკულური ავადმყოფობა
	ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები
	შაქრიანი დიაბეტი
	სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები
	ფილტვის ქრონიკული ავადმყოფობები
	ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები
	სისხლის და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები

	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	76
	ნერვული სისტემის ავადმყოფობები	77
	თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	79
	ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	80
	თანდაყოლილი ანომალიები	80
	საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	82
	შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	84
	ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	86
თავი 6	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	88
	ორსულობა	90
	აბორტი	91
	მშობიარობა	93
	საკეისრო კვეთა	97
	ცოცხალშობადობა	99
	მკვდრადშობადობა	101
	დედათა სიკვდილიანობა	102
	ბავშვთა ავადობა	106
	ბავშვთა სიკვდილიანობა	110
თავი 7	რისკის ფაქტორების კვლევები	114
	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები სასკოლო ასაკის ბავშვებში (HBSC), საქართველო, 2018	115
	ტერმინთა შემოკლებები	122
	გამოყენებული ლიტერატურა	124

თავი 1.

საქართველო მდგრადი განვითარების მიზნების ჭრილობი



მდგრადი განვითარების მიზნები


2015 წელს „ათასწლეულის განვითარების მიზნები“-ს (Millennium Development Goals - MDGs) ნაწილობრივ მიღწევის შემდეგ, გასული 15 წლის წარმატებების შენარჩუნების და შემდგომი წინსვლის მისაღწევად გაეროს სამიტზე „მდგრადი განვითარების მიზნები (მგმ) 2030 წლისათვის“ (Sustainable Development Goals - SDGs) იქნა მიღებული.

მდგრადი განვითარების 17 მიზანი არის უფრო ფართო და უფრო ამბიციური, ვიდრე ათასწლეულის განვითარების მიზნები, და წარმოადგენს დღის წესრიგს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ „არავინ არ დარჩეს მიღმა“. მდგრადი განვითარების მიზნები მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრისკენ, პრიორიტეტად განსაზღვრავს ჯანმრთელობას, განათლებას, საკვების უსაფრთხოებასა და ხელმისაწვდომობას, გარდა ამისა, ფარავს საკითხების ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა ეკონომიკა, სოციალური და გარემოს მიზნები, მიისწრაფვის უფრო მშვიდობიანი და ჩართული საზოგადოებებისაკენ. მესამე სტრატეგიულ მიზანია 2030 წლისათვის ჯანმრთელი ცხოვრებისა და კეთილდღეობის მიღწევა ყველა ასაკის ადამიანისათვის, ყველასათვის უსაფრთხო და ეფექტური მედიკამენტებისა და ვაქცინებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის დანერგვის ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის საყოველთაო მოცვა, რაც ამავედროულად გლობალური ჯანმრთელობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, და სხვ.


2018 წელს ქვეყნებმა მოახდინეს მდგრადი განვითარების მიზნების საკუთარ პროგრამებში ინტეგრირება. საქართველო იზიარებს მდგრადი განვითარების, “ჯანმრთელობა 2020“-ის და არაგადმდებ დაავადებათა პრევენციის და კონტროლის გლობალურ ინიციატივებს და აქტიურად მონაწილეობს ზემოაღნიშნული მიზნების შესრულების პროგრესის მონიტორინგში.

SDG-ის ზოგადი პროგრესის შესაფასებლად, შემუშავებულ იქნა ე.წ. SDG-ის გლობალური ინდექსი, რომელიც წარმოადგენს ყველა მიზნის შესრულების შეჯერებულ მაჩვენებელს. ამ ინდექსით საქართველო 58-ე ადგილს იკავებს 166 ქვეყანას შორის და 1.4%-ით ჩამორჩება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს (სურათი 1.1-1.3).

სურათი 1.1 მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ინდექსი, 2019



სურათი 1.2 მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საშუალო მაჩვენებლები, საქართველო, 2019



სურათი 1.3 მიმდინარე შეფასება, საქართველო, 2019



მაჩვენებელი	ტენდენცია
● მგმ მიღწეულია	↑ 2030 წლისთვის მიზნის მიღწევის პროცესში
● რჩება გამოწვევად	↗ მაჩვენებელი ზომიერად იზრდება, არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად
● რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად	→ მაჩვენებელი არ იცვლება ან იზრდება საჭირო მნიშვნელობის 50%-ზე ნაკლებად
● რჩება ძალზე მნიშვნელოვან გამოწვევად	↓ მაჩვენებელი იკლებს
● არ არის ინფორმაცია	● არ არის ინფორმაცია

წყარო: <https://dashboards.sdgindex.org/static/countries/profiles/Georgia.pdf>

ცხრილი 1.1 SDG ინდიკატორების გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებათა ქსელის შეფასებითი მნიშვნელობები, საქართველო, 2020¹

	შეფასება	არსებული მდგომარეობა	ტენდენცია
SDG3 მიზანი 3 - კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა			
დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (100 000 ცოცხალშობილზე)	25.0	●	↑
ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი (1000 ცოცხალშობილზე)	5.9	●	↑
5 წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებელი (1000 ცოცხალშობილზე)	9.8	●	↑
ტუბერკულოზის ინციდენტობა (100 000 მოსახლეზე)	80	●	↑
აივ ინფექციის ინციდენტობა (1000 მოსახლეზე)	0.2	●	↑
არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა (100000 მოსახლეზე)	24.9	●	→
საყოფაცხოვრებო ჰაერის დაბინძურებით და გარემოს ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობა (100 000 მოსახლეზე)	102	●	●
საგზაო შემთხვევით გამოწვეული სიკვდილიანობა (100 000 მოსახლეზე)	15.3	●	↓
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წლები)	72.6	●	↓
მოზარდთა ფერტილობა (დაბადებულები 1000 ქალზე)	46.4	●	↗
მშობიარობები, მიღებული კვალიფიცირებული პერსონალის მიერ (%)	99.9	●	↑
ჩვილთა წილი, რომლებსაც გაუკეთდა ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული 2 აცრა (%)	93	●	↑
საყოველთაო ჯანდაცვით მოცვის ინდექსი (0-100)	66	●	↗
სუბიექტური კეთილდღეობა (0-10)	4.9	●	↑

წყარო: <https://dashboards.sdindex.org/static/countries/profiles/Georgia.pdf>

¹ შესაძლოა არ ემთხვევოდეს ზოგიერთ ეროვნულ მონაცემს

თავი 2.

დემოგრაფია



ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები ²

საქართველო დაყოფილია 11 რეგიონად და 64 მუნიციპალიტეტად.



ცხრილი 2.1 ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველო


	2018		2019	
	რაოდენობა	მაჩვენებელი	რაოდენობა	მაჩვენებელი
ცოცხალშობილთა რაოდენობა და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	51138	13.7	48 296	13.0
ბუნებრივი მატება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	4614	1.2	1 637	0.4
გარდაცვლილთა რაოდენობა და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	46 524	12.5	46 659	12.5
მათ შორის გარდაიცვალა 1 წლამდე და მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	416	8.1	380	7.9
მკვდრადშობადობა და მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე	436	8.5	457	9.4
ქორწინება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	23 202	6.2	23 285	6.3
განქორწინება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	10 288	2.8	11 205	3.0
მიგრაციული მატება და მიგრაციული სადღო	-10 783	-2.9	-8 243	-2.2

² წინამდებარე თავში მოყვანილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

მოსახლეობა

2019 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ 3 720 161 ადამიანი შეადგინა. მოსახლეობის 51.87% ქალი, ხოლო 48.13% - კაცია (სურათი 2.1).

სურათი 2.1 სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, საქართველო, 2019



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2.2 საქართველოს საშუალო წლიური მოსახლეობა (ათასი) ასაკის და სქესის მიხედვით

ასაკი	2018			2019		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
-1	52.1	27.0	25.1	49.6	25.7	23.9
1-4	226.8	117.2	109.6	223.6	115.6	108.0
5-9	256.0	133.5	122.5	258.9	134.6	124.3
10-14	214.8	113.7	101.1	224.7	118.5	106.2
15-19	207.2	109.8	97.4	205.6	109.1	96.5
20-24	222.6	116.5	106.2	219.5	115.4	104.0
25-29	267.9	135.2	132.7	255.8	129.7	126.1
30-34	272.5	136.7	135.8	271.0	136.0	135.1
35-39	252.0	124.9	127.1	254.0	126.5	127.6
40-44	241.7	119.6	122.1	240.5	119.1	121.4
45-49	234.9	114.7	120.2	234.2	115.1	119.1
50-54	240.5	114.8	125.7	233.1	111.8	121.3
55-59	262.0	120.9	141.1	260.6	120.8	139.8
60-64	226.1	99.7	126.4	231.8	102.5	129.3
65-69	189.6	79.0	110.6	193.6	80.8	112.8
70-74	116.2	45.5	70.7	131.5	51.3	80.2
75-79	117.2	41.9	75.2	100.9	36.1	64.8
80-84	82.5	27.8	54.7	87.6	28.9	58.7
85+	44.0	13.0	31.1	43.5	13.0	30.6
სულ	3726.5	1791.2	1935.3	3,720.2	1,790.6	1,929.6

ცხრილი 2.3 საშუალო წლიური მოსახლეობა (ათასი) ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით, საქართველო

ასაკი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
2010			
სულ	3786.7	1804.3	1982.3
-15	685.2	362.7	322.6
15-64	2566.2	1237.6	1328.6
65+	535.3	204.1	331.2
2011			
სულ	3756.4	1789.7	1966.7
-15	683.7	361.3	322.4
15-64	2545.5	1228.3	1317.2
65+	527.2	200.2	327.0
2012			
სულ	3728.9	1777.0	1951.8
-15	681.8	359.7	322.1
15-64	2522.1	1218.6	1303.5
65+	525.1	198.8	326.3
2013			
სულ	3717.7	1773.1	1944.5
-15	683.4	360.1	323.3
15-64	2508.1	1214.2	1293.9
65+	526.2	198.9	327.3
2014			
სულ	3719.4	1775.4	1944.1
-15	694.1	364.9	329.1
15-64	2496.2	1210.5	1285.7
65+	529.1	199.9	329.3
2015			
სულ	3725.3	1780.4	1944.8
-15	711.0	373.1	337.9
15-64	2480.4	1205.6	1274.8
65+	533.9	201.7	332.2
2016			
სულ	3727.5	1784.7	1942.8
-15	726.1	380.3	345.8
15-64	2463.6	1201.5	1262.1
65+	537.9	202.9	335.0
2017			
სულ	3728.0	1788.6	1939.4
-15	738.9	386.3	352.6
15-64	2446.3	1197.7	1248.6
65+	542.8	204.6	338.2
2018			
სულ	3,726.5	1,791.2	1,935.3
-15	749.7	391.4	358.3
15-64	2427.4	1192.7	1234.7
65+	549.4	207.1	342.3
2019			
სულ	3,720.2	1,790.6	1,929.6
-15	756.8	394.4	362.3
15-64	2406.2	1186.0	1220.2
65+	557.2	210.2	347.0

შობადობა


2019 წელს საქართველოში აღირიცხა 48 296 ცოცხალშობილი (2018 წელს - 51 138), შობადობის ზოგადი მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე - 13.0 (2018 წელს - 13.7). დაბადების რიგითობის მიხედვით პირველ ბავშვზე ცოცხალშობილთა 38.1%, მეორე ბავშვზე - 36.5%, ხოლო მესამეზე - 18.8% მოდიოდა.

ცხრილი 2.4 ცოცხალშობილთა რაოდენობა დაბადების რიგითობის მიხედვით, საქართველო

წელი	დაბადების რიგითობა					სულ
	I	II	III	IV	V+	
2008	28978	16841	5040	1098	485	52442
2009	29953	18874	5959	1257	525	56568
2010	27303	19698	6338	1301	590	55230
2011	24559	19293	5989	1166	558	51565
2012	23075	19044	6065	1269	516	49969
2013	22478	18910	6387	1353	529	49657
2014	26355	23171	8724	1646	644	60635
2015	24684	22644	9189	1878	719	59249
2016	22949	21563	9389	1964	704	56569
2017	20742	20435	9291	2073	677	53293
2018	19362	19511	9291	2073	718	51138
2019	18421	17645	9063	2079	777	48296

2014 წლის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (Total fertility rate - TFR) ≈ 1.3 -ჯერ აღემატებოდა 2013 წლის მაჩვენებელს, რაც განპირობებული იყო საყოველთაო აღწერის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებით. 2019 წლის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტია 2.01 (2018 წელს იყო 2.1). (სურათი 2.2).


სურათი 2.2 შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (TFR)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი (IHME) საქართველოში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის კლების ტენდენციას პროგნოზირებს. შედარებისთვის მოყვანილია რეგიონალური და გლობალური ტენდენციები (სურათი 2.3).

სურათი 2.3 შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (TFR), საქართველო, 1990 – 2100




წყარო: <http://www.healthdata.org/georgia>

ცხრილი 2.5 შობადობის ასაკობრივი და მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები, საქართველო

წელი	დედის ასაკი							შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	აღწარმოების კოეფიციენტი	
	-20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+		ბრუტო	ნეტო
2008	48.0	129.1	100.8	58.7	24.8	5.6	0.3	1.8	0.9	0.8
2009	56.1	138.5	111.5	63.4	26.8	5.8	0.3	2.0	1.0	0.9
2010	52.2	132.6	111.0	67.0	29.1	6.8	0.3	2.0	1.0	0.9
2011	47.1	125.0	106.9	63.5	28.0	6.3	0.3	1.9	0.9	0.9
2012	43.0	120.3	105.5	65.6	28.5	6.9	0.4	1.9	0.9	0.9
2013	42.2	119.1	106.2	67.3	30.5	7.2	0.4	1.9	0.9	0.9
2014	51.5	144.7	131.3	86.5	38.9	9.2	0.7	2.3	1.1	1.1
2015	48.4	144.1	128.0	87.7	41.5	10.6	0.7	2.3	1.1	1.1
2016	43.4	134.9	127.5	86.4	43.7	11.2	0.8	2.2	1.1	1.1
2017	36.2	126.1	126.9	84.5	44.0	10.5	0.5	2.1	1.0	1.0
2018	32.3	121.9	127.5	85.4	44.3	11.0	0.6	2.1	1.0	1.0
2019	29.4	112.1	121.3	81.2	44.6	12.4	1.5	2.0	1.0	1.0

საქართველოში 2010 წლიდან 20 წლამდე ასაკის ქალებში აღრიცხული შობადობის შემცირების ტენდენცია გაგრძელდა და 2019 წელს 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ცოცხალშობილი ბავშვების წილმა 5.8% შეადგინა (სურათი 2.4).

სურათი 2.4 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ცოცხალშობილი ბავშვების წილი ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან, საქართველო




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2.6 ცოცხალშობილთა რაოდენობა დედის ასაკის მიხედვით, საქართველო

წელი	სულ	დედის ასაკი						
		- 20	20 - 24	25 - 29	30 - 34	35 - 39	40 - 44	45+
2008	52442	7072	19258	13993	7926	3326	782	85
2009	56568	7853	20381	15457	8473	3544	781	79
2010	55230	6841	19291	15465	8862	3793	893	85
2011	51565	5742	18032	14963	8324	3612	803	89
2012	49969	4930	17116	14762	8558	3634	869	100
2013	49657	4678	16486	14806	8797	3880	897	113
2014	60635	5579	19131	18257	11398	4941	1148	181
2015	59249	5108	17917	17739	11729	5266	1311	179
2016	56569	4467	15650	17613	11706	5539	1386	208
2017	53293	3614	13834	17350	11496	5581	1285	133
2018	51138	3117	12786	16548	11564	5627	1344	152
2019	48296	2839	11659	15287	10969	5687	1500	355

2019 წლის მონაცემებით, სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შეიცვალა და გაუტოლდა 107.6 (2018 წელს -107.9) (სურათი 2.5).

სურათი 2.5 სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა, საქართველო



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2.7 სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას, საქართველო


წელი	ორივე სქესი	მამრობითი	მდედრობითი	(მამრობითი / მდედრობითი) * 100
2008	52442	27698	24744	111.9
2009	56568	29660	26908	110.2
2010	55230	28787	26443	108.9
2011	51565	26942	24623	109.4
2012	49969	26138	23831	109.7
2013	49657	25747	23910	107.7
2014	60635	31325	29310	106.9
2015	59249	30902	28347	109.0
2016	56569	28887	27682	104.4
2017	53293	27658	25635	107.9
2018	51138	26538	24600	107.9
2019	48296	25029	23267	107.6

სიკვდილიანობა

მსოფლიოში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აღინიშნა სიკვდილიანობის შემცირების და სიცოცხლის ხანგრძლივობის მატების ტენდენცია. ამგვარი ცვლილება ნაწილობრივ არაფატალური დაავადებების წილის ზრდასთან და ტრავმული დაზიანებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების შემცირებასთან და, ასევე, რისკ-ფაქტორების კონტროლის გაუმჯობესებასთან, დაავადებათა ადრეულ გამოვლენასა და გაუმჯობესებულ მართვასთან, მაღალტექნოლოგიური ინტერვენციები არის დაკავშირებული. საქართველოში, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, იზრდება ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წილი, რაც თავისთავად აისახება სიკვდილიანობის მაჩვენებელზე.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სიკვდილიანობის ზოგადი მაჩვენებელი მთლიან მოსახლეობაში მეტნაკლებად სტაბილურ მნიშვნელობას ინარჩუნებდა 2011-2015 წლების განმავლობაში. 2017 წელს დაფიქსირებული მაჩვენებლის კლების ტენდენცია გაგრძელდა 2018 წელს და იგივე დონეზე დარჩა 2019 წელს - 12.5 (2017 - 12.8, 2018 - 12.5) (სურათი 2.6, 2.7).

სურათი 2.6 სიკვდილიანობა, საქართველო



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სურათი 2.7 სიკვდილიანობის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“


2019 წელს გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 51.5% კაცი და 48.5% ქალია. გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 1.12% 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებზე მოდიოდა, მათ შორის 70.2%- ერთ წლამდე ასაკის ბავშვებზე (2018 წელს - . 68.8%).

ცხრილი 2.8 გარდაცვლილთა რაოდენობა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, საქართველო, 2019

ასაკი	გარდაცვლილთა რაოდენობა			სიკვდილიანობის მაჩვენებელი (1000 მოსახლეზე)		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
-1	380	214	166	7.7	8.3	7.0
1-4	72	40	32	0.3	0.3	0.3
5-9	34	20	14	0.1	0.1	0.1
10-14	55	36	19	0.2	0.3	0.2
15-19	112	85	27	0.5	0.8	0.3
20-24	165	123	42	0.8	1.1	0.4
25-29	221	170	51	0.9	1.3	0.4
30-34	307	242	65	1.1	1.8	0.5
35-39	477	368	109	1.9	2.9	0.9
40-44	696	548	148	2.9	4.6	1.2
45-49	1108	858	250	4.7	7.5	2.1
50-54	1676	1225	451	7.2	11.0	3.7
55-59	2899	2096	803	11.1	17.4	5.7
60-64	3756	2650	1106	16.2	25.8	8.6
65-69	4446	2785	1661	23.0	34.5	14.7
70-74	4464	2539	1925	33.9	49.5	24.0
75-79	6289	2974	3315	62.3	82.3	51.2
80-84	9269	3824	5445	105.8	132.1	92.8
85+	10233	3222	7011	235.0	248.5	229.3
სულ	46659	24019	22640	12.5	13.4	11.7


საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში, სიკვდილიანობის ტვირთი არაგადამდებ დაავადებებზე მოდის (სურათი 2.8).

სურათი 2.8 სიკვდილიანობის სტრუქტურა, საქართველო, 2019



წყარო: საქსტატი


სურათი 2.9 არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ნაადრევი სიკვდილის რისკი (%), საქართველო, 2018



წყარო: World Health Organization - Noncommunicable Diseases (NCD) Country Profiles, 2018

ვამინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტის (IHME) 2019 წლის მონაცემები სიკვდილის 10 წამყვანი მიზეზის შესახებ და ასევე 2009-2019 წლებში დაფიქსირებული ცვლილების პროცენტი წარმოდგენილია სურათზე 2.10.

სურათი 2.10 სიკვდილის 10 წამყვანი მიზეზი, ყველა ასაკობრივი ჯგუფი, საქართველო



წყარო: <http://www.healthdata.org/georgia>


ცხრილი 2.9 სიკვდილიანობა ძირითადი მიზეზების მიხედვით (მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე), საქართველო, 2019

	რაოდენობა	მაჩვენებელი
სულ	46659	1254.2
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	775	20.8
სიმსივნეები	7873	211.6
მათ შორის ავთვისებიანი	7665	206.0
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნური მექანიზმის ჩართვით გამოწვეული ზოგიერთი დარღვევა	426	11.5
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	994	26.7
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	82	2.2
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	685	18.4
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	0	0.0
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	0	0.0
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	21449	576.6
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	3303	88.8
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	1517	40.8
კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	14	0.4
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	11	0.3
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	692	18.6
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	14	1.7
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	265	7.1
თანდაყოლილი ანომალიები (განვითარების მანკები), დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	87	2.3
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	6177	166.0
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	2295	61.7

სიკვდილიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმებს გარდაცვალების შემთხვევათა აღრიცხვის სისრულე და სიკვდილის მიზეზების სწორი იდენტიფიცირება

წარმოადგენს. საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ამ კუთხით სერიოზული ძვრები აღინიშნა, რეგისტრაციის სისრულე 95%-ს აღემატება, რასაც საერთაშორისო შეფასებებიც ადასტურებს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობების, უწყებათაშორისი თანამშრომლობის და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ჩართულობის შედეგად, სიკვდილის მიზეზების იდენტიფიცირების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი 15%-იან ზღვარს ჩამოსცილდა (სურათი 2.11).

სურათი 2.11 სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი (%) საერთო სიკვდილიანობაში



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯეც

ბუნებრივი მატება

საქართველოში 2019 წელს ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 0.4 იყო (2018 წელს -1.2). დადებითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა აჭარაში, თბილისში და ქვემო ქართლში.


ცხრილი 2.10 ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი მაჩვენებლები, საქართველო

წელი	ცოცხალშობილები		გარდაცვალება		ბუნებრივი მატება		ქორწინება		განქორწინება	
	რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე
2008	52442	14.6	50490	13.1	1952	0.5	31414	8.2	3189	0.8
2009	56568	13.7	50794	13.3	5774	1.5	31752	8.3	4030	1.1
2010	55230	13.4	51066	13.5	4164	1.1	34675	9.2	4726	1.2
2011	51565	13.4	49818	13.3	1747	0.5	30863	8.2	5850	1.6
2012	49969	16.3	49347	13.2	622	0.2	30412	8.2	7136	1.9
2013	49657	15.9	48564	13.1	1093	0.3	34693	9.3	8089	2.2
2014	60635	15.2	49087	13.2	11548	3.1	31526	8.5	9119	2.5
2015	59249	14.3	49121	13.2	10128	2.7	29157	7.8	9112	2.4
2016	56569	14.8	50771	13.6	5798	1.6	25101	6.7	9539	2.6
2017	53293	14.6	47822	12.8	5471	1.5	23684	6.4	10222	2.7
2018	51138	13.7	46524	12.5	4614	1.2	23202	6.2	10288	2.8
2019	48296	13.0	46659	12.5	1637	0.4	23285	6.3	11205	3.0

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა

საქართველოში 2019 წელს სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ დაბადებისას 74.1 შეადგინა: ქალებში – 78.4; კაცებში – 69.8 (სურათი 2.12).

სურათი 2.12 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, საქართველო




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2.11 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, საქართველო

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ	69.7	69.9	71.3	72.1	72.1	72.5	72.8	73	72.7	73.5	74.0	74.1
კაცი	64.9	65.6	66.7	67.8	67.6	68.1	68.6	68.7	68.3	69.2	69.7	69.8
ქალი	74.8	74.2	75.8	76.5	76.7	76.9	77.0	77.3	77.2	77.8	78.2	78.4

საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას აღემატება დსთ-ს მაჩვენებელს და ნაკლებია ევროპის რეგიონის მაჩვენებელზე (სურათი 2.13).


სურათი 2.13 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (ბოლო ხელმისაწვდომი წელი)



წყარო: საქსტატი; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ვამინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტის (IHME) პროგნოზით, რომელიც ეყრდნობა ავადობის გლობალური ტვირთის 2017 წლის მონაცემებს, საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ზრდის ტენდენციას შეინარჩუნებს (სურათი 2.14).


სურათი 2.14 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, საქართველო, 1990 – 2100



წყარო: <http://www.healthdata.org/georgia>

სურათზე 2.15 წარმოდგენილია ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტის (IHME) მიერ მოწოდებული სიკვდილისა და შეზღუდული შესაძლებლობების გამომწვევი 10 წამყვანი მიზეზი.

სურათი 2.15 ასაკ-სტანდარტიზებული DALY (შეზღუდული შესაძლებლობების გამო დაკარდული წლები), მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე, 2019



წყარო: <http://www.healthdata.org/georgia>

თავი 3.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება



მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ცხრილი 3.1 ჯანდაცვის რესურსები და სერვისების უტილიზაცია, საქართველო, 2019

ექიმების რაოდენობა (სტომატოლოგების ჩათვლით)	31746	სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა	266
ექიმებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	853.3	ამბულატორიულ/პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა	2280
ექთნების რაოდენობა	19613	ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობა	17471
ექთნებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	527.2	ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	469.6
მიმართვა ექიმთან	13469592	ანტენატალური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობა	291
ექიმის ვიზიტი ბინაზე	181889	სასწრაფო დახმარების სადგურების რაოდენობა	71
სოფლის ექიმი (ფიზიკური პირი) რაოდენობა	1269	ტრანსფუზიოლოგიური სერვისის მიმწოდებელი	22


ჯანდაცვის სისტემის ქსელი და ადამიანური რესურსები

ცხრილი 3.2 ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი, საქართველო, 2019

დაწესებულება	რაოდენობა
სტაციონარული დაწესებულებები	266
საავადმყოფოები და სამედიცინო ცენტრები	265
მ.შ. სპეციალიზებული	75
მ.შ. დამოუკიდებელი სამშობიარო სახლები	5
დისპანსერები (სტაციონარით)	1
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები და სოფლის ექიმები	2280
მ.შ. პოლიკლინიკური დაწესებულებები დამოუკიდებელი	341
სტომატოლოგიური პოლიკლინიკები და კაბინეტები	574
ამბულატორიები	22
დამოუკიდებელი ქალთა კონსულტაციები	12
კაბინეტები (სტომატოლოგიურის გარდა)	54
სოფლის ექიმები	1269
დისპანსერები (სტაციონარის გარეშე)	8
სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურები (დამოუკიდებელი)	71
სისხლის გადასხმის ობიექტები (დამოუკიდებელი და შემავალი)	22
ეპიდემიოლოგიური სამსახური	60
სხვა	16

ქვეყანაში ჯანდაცვის ადამიანური რესურსის სათანადო რაოდენობის არსებობას, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საქართველოში 2006 წლიდან აღინიშნება ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდა; ამასთან, საქართველოს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ ქვეყნების მაჩვენებლებს (სურათი 3.1).


სურათი 3.1 ექიმებით უზრუნველყოფა 100 000 მოსახლეზე



წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“; დკსჯეც

ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები 1998 წლიდან 2013 წლამდე კლების ტენდენციით ხასიათდება და უკანასკნელ წლებში, ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ ქვეყნების მაჩვენებლებს.

სურათი 3.2 მოსახლეობის პროფესიულად აქტიური ექიმებით³ და ექთნებით⁴ უზრუნველყოფის მაჩვენებლები, საქართველო



წყარო: დეკჯეც

ცხრილი 3.3 პროფესიულად აქტიური ექიმებით⁵ უზრუნველყოფა, საქართველო

	ექიმები		მათ შორის პრაქტიკოსი ექიმები	
	სულ	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	სულ	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე
2008	17961	466.7	16571	430.6
2009	18591	487.4	17392	456.0
2010	19453	513.7	18227	481.3
2011	19514	519.5	18366	488.9
2012	21501	576.6	18235	489.0
2013	20474	550.7	18278	491.6
2014	21201	570.0	19270	518.1
2015	21312	572.1	20143	540.7
2016	24745	663.8	24082	646.1
2017	26303	705.6	25084	672.9
2018	30291	814.2	29223	784.2
2019	30574	821.8	29351	789.0

ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნებში ერთ ექიმზე საშუალოდ 2-2.7 ექთანის მოდის და ამ მაჩვენებლის ზრდა პოზიტიურ ტენდენციად არის მიჩნეული.


³ პროფესიონალურად აქტიური ექიმები - პრაქტიკოსი ექიმები, რომელთათვისაც მათი სამედიცინო განათლება არის სამუშაოს აღსრულების წინაპირობა, არ მიეკუთვნება: სტომატოლოგები, სტომატოლოგი-ქირურგები, ექიმები, რომელთა საქმიანობა არ მოითხოვს სამედიცინო განათლებას, უმუშევარი ექიმები და პენსიონერები, საზღვარგარეთ მომუშავე ექიმები.

⁴ პროფესიულად აქტიური საშუალო სამედიცინო პერსონალი - პრაქტიკოსი ექთნები, რომელთათვისაც მათი სამედიცინო განათლება არის სამუშაოს აღსრულების წინაპირობა, არ მიეკუთვნება: ექთნები, რომელთა საქმიანობა არ მოითხოვს სამედიცინო განათლებას, უმუშევარი ექთნები და პენსიონერები, საზღვარგარეთ მომუშავე ექთნები.

⁵ პროფესიონალურად აქტიური ექიმები - პრაქტიკოსი ექიმები, რომელთათვისაც მათი სამედიცინო განათლება არის სამუშაოს აღსრულების წინაპირობა. არ მიეკუთვნება: სტომატოლოგები, სტომატოლოგი-ქირურგები, ექიმები, რომელთა საქმიანობა არ მოითხოვს სამედიცინო განათლებას, უმუშევარი ექიმები და პენსიონერები, საზღვარგარეთ მომუშავე ექიმები.

უკანასკნელი დეკადების განმავლობაში, საქართველოში ექიმების რაოდენობა ჭარბობს ექთნების რაოდენობას და ექთნების რაოდენობის ექიმების რაოდენობასთან შეფარდება ბოლო 5 წლის განმავლობაში არ აღემატება 0.8-ს (სურათი 3.3).

სურათი 3.3 ექთნების და ექიმების რაოდენობების შეფარდება, საქართველო



წყარო: დკსჯეც

ცხრილი 3.4 პროფესიულად აქტიური საშუალო სამედიცინო პერსონალით⁶ უზრუნველყოფა, საქართველო

	ექთნები		ბეზიაქალები	
	სულ	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	სულ	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე
2008	17309	449.8	1061	27.6
2009	16958	444.6	955	25.0
2010	17211	454.5	913	24.1
2011	15940	424.3	661	17.6
2012	14493	388.7	634	17.0
2013	14935	401.7	594	16.0
2014	14809	398.2	607	16.3
2015	15574	418.1	593	15.9
2016	18701	501.7	489	13.1
2017	18977	509.1	491	13.2
2018	18440	494.8	491	13.2
2019	19613	527.2	542	14.6

⁶ პროფესიულად აქტიური საშუალო სამედიცინო პერსონალი - პრაქტიკოსი ექთნები, რომელთათვისაც მათი სამედიცინო განათლება არის საშუალო ადსრულების წინაპირობა. არ მიეკუთვნება: ექთნები, რომელთა საქმიანობა არ მოითხოვს სამედიცინო განათლებას, უმუშევარი ექთნები და პენსიონერები, საზღვარგარეთ მომუშავე ექთნები.


ცხრილი 3.5 საავადმყოფოებში მომუშავე სამედიცინო პერსონალი, საქართველო

	საავადმყოფოებში მომუშავე პერსონალი		საავადმყოფოებში მომუშავე ექიმები		საავადმყოფოებში მომუშავე ექთნები და ბეზიქალები	
	სულ	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	სულ	% ქვეყანაში მომუშავე პრაქტიკოსი ექიმების საერთო რაოდენობიდან	სულ	% ქვეყანაში მომუშავე საშუალო სამედიცინო პერსონალის საერთო რაოდენობიდან
2008	30164	783.8	7881	43.9	10864	53.9
2009	30765	806.5	8137	43.8	10741	54.9
2010	30994	818.5	8404	43.2	10772	55.0
2011	28319	753.9	7942	40.7	9583	52.5
2012	24042	644.7	7951	33.1	8116	33.8
2013	25953	698.1	9385	36.2	8632	33.3
2014	26982	725.4	9680	42.0	8915	59.4
2015	30460	817.7	10699	50.2	9957	63.9
2016	31391	842.1	11822	49.1	10897	58.3
2017	35121	942.1	13126	52.1	11905	66.6
2018	39514	1060.3	15543	52.6	12055	63.7
2019	41317	1110.6	16615	52.3	13952	71.1

ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია

2019 წელს საქართველოში პირველადი ჯანდაცვის დონეზე რეგისტრირებულია 14928350 მიმართვა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, 1 სულ მოსახლეზე ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურებისთვის მიმართვიანობის საშუალო მაჩვენებელი ევროპის რეგიონის ქვეყნებისთვის ~6-ს შეადგენს. საქართველოში უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში მაჩვენებლის მნიშვნელობა 2.2-ს არ აღემატებოდა. საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მოსახლეობის მიმართვიანობა როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დაწესებულებებში, მკვეთრად გაიზარდა. 2019 წელს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურებისთვის და სასწრაფო დახმარებისთვის მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე (2018 წელს - 3.7) 4-ს გაუტოლდა (სურათი 3.4).

სურათი 3.4 მიმართვათა რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დეკჯეც

**ცხრილი 3.6 ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში
მიმართვათა რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე, საქართველო**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
მიმართვათა რაოდენობა	1.8	1.9	1.9	2.1	2.4	3.2	3.6	3.5	3.1	3.3	4.0
<i>მათ შორის:</i>											
ექიმთან მიმართვა	1.7	1.8	1.8	2.1	2.4	3.1	3.4	3.4	3.0	3.2	3.6
მ.შ. 15 წლამდე ბავშვების	2.7	2.6	2.4	2.6	2.7	3.7	3.8	3.6	3.4	2.8	2.8
სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება	0.2	0.2	0.2	0.2	0.3	0.3	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
მ.შ. 15 წლამდე ბავშვების	0.1	0.1	0.2	0.2	0.2	0.2	0.3	0.3	0.2	0.2	0.3

ცხრილი 3.7 ამბულატორული ქირურგიული მუშაობა, საქართველო

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ქირურგიული ოპერაციები სულ	78670	77289	101602	102120	105604	103469	104632
<i>მათ შორის:</i>							
თვალი	15941	17576	27517	27185	31369	28920	34480
მათ შორის: გლაუკომა	8979	945	1169	1633	1622	1059	1437
კატარაქტა	7517	9121	16386	15171	15624	14118	21322
მიკროქირურგიული	2957	9894	10490	10423	12752	12789	19899
ყელ-ყურ-ცხვირი	2816	4149	4243	14152	12059	16371	17440
სისხლძარღვები	1202	1615	428	642	373	1348	909
მუცლის ღრუს ორგანოები	1318	772	732	785	679	2314	3236
მათ შორის არაჩაკედილი თიაქრის კვეთა	740	113	123	168	112	414	396
სამეანო-გინეკოლოგიური	27167	23862	15655	14905	14628	11981	12084
სარძევე ჯირკვალი	231	394	404	434	353	634	338
კანსა და კანქვეშა ქსოვილი	17863	16335	22030	18620	15604	20871	16808

2019 წელს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშები წარმოადგინა სტაციონარული სერვისების მიმწოდებელმა 266 დაწესებულებამ. 2019 წელს აღირიცხა ჰოსპიტალიზაციის 502756 შემთხვევა, რაც 8%-ით აღემატება 2018 წლის ჰოსპიტალიზაციათა რიცხვს.

ცხრილი 3.8 საწოლთა ფონდის გამოყენების მაჩვენებლები, საქართველო

	ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	დატვირთვა	დაყოვნება	ბრუნვა
2008	14069	365.6	792.0	3.0	26.2
2009	13633	357.4	148.2	6.3	23.4
2010	13378	353.3	160.0	6.4	25.2
2011	12599	335.4	173.6	7.0	24.8
2012	11348	304.3	228.9	7.0	32.7
2013	11600	312.0	181.4	5.4	33.6
2014	11675	313.9	188.3	5.2	36.3
2015	12830	344.4	193.3	5.3	36.4
2016	13840	371.3	189.3	5.0	37.8
2017	15084	404.6	180.5	5.2	35.0
2018	15909	426.9	187.2	4.9	37.8
2019	17471	469.6	179.5	4.9	36.5

ჰოსპიტალიზაციათა 21.7% სასუნთქი სისტემის ავადმყოფობებთან, 18.8% - სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებთან და 9.5% - ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან იყო დაკავშირებული. ზოგადი ლეტალობა წინა წლებთან შედარებით პრაქტიკულად არ შეცვლილა და 2.5%-ს შეადგინა.

ცხრილი 3.9 მოსახლეობის სტაციონარული მომსახურება, საქართველო, 2019
(ჰოსპიტალიზაციით მაღალი რაოდენობით გამორჩეული დაავადებათა 10 კლასი)

	ჰოსპიტალიზაცია თა რაოდენობა	მათ შორის გარდაიცვალა	ლეტალობა %
სულ	545216	13606	2.5
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	118553	4098	3.5
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	102515	4159	4.1
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	52294	5	0.0
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	44179	1015	2.3
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების შედეგები	37609	440	1.2
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	34210	308	0.9
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	26452	330	1.2
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	25474	288	1.1
ახალწარმონაქმნები (ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი)	23723	1191	5.0
ფსიქიკური	11402	174	1.5

ცხრილი 3.10 0-15 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონარული მომსახურება, საქართველო, 2019

(ჰოსპიტალიზაციით მაღალი რაოდენობით გამორჩეული დაავადებათა 10 კლასი)

	ჰოსპიტალიზაც იათა რაოდენობა	მათ შორის გარდაიცვალა	ლეტალობა %
სულ	111668	365	0.3
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	56511	30	0.1
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	18679	5	0.0
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	7572	15	0.2
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების შედეგები	6890	8	0.1
პერინატალურ პერიოდში განვითარებული მდგომარეობები	6798	227	3.3
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	4439	7	0.2
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	2681	4	0.1
თანდაყოლილი ანომალიები	2259	40	1.8
ახალწარმონაქმნები (ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი)	1032	13	1.3
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	862	4	0.5

ცხრილი 3.11 ერთ წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონარული მომსახურება, საქართველო, 2019

(ჰოსპიტალიზაციით მაღალი რაოდენობით გამორჩეული დაავადებათა 10 კლასი)

	ჰოსპიტალიზაციითა რაოდენობა	მათ შორის გარდაიცვალა	ლეტალობა %
სულ	25966	299	1.2
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	11156	11	0.1
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	6746	226	3.4
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	4252	2	0.0
სიმპტომები და არაიდენტიფიცირებული მიზეზები	1151	7	0.6
თანდაყოლილი ანომალიები (განვითარებული მანკები), დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	742	38	5.1
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	502	1	0.2
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	429		0.0
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	339	5	1.5
ახალწარმონაქმნები (ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი)	216	2	0.9
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	162	2	1.2
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	77	0	0.0

2019 წელს ქირურგიული ოპერაციების აღრიცხვა კვლავ განხორციელდა ელექტრონული, სტაციონარულ შემთხვევაზე ორიენტირებული ანგარიშგების ფორმის და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონაცემების შეჯერებით. ამგვარად, 2018-2019 წლების მონაცემების (ოპერაციული ჩარევების სტრუქტურა) წინა წლებთან შედარება არ იქნება მართებული.

2019 წელს საქართველოს სტაციონარებში ჩატარდა 239119 (2018 წელს - 221849) ქირურგიული ოპერაცია, მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე – 64.3 (2018 წელს - 59.5).

2019 წელს გულზე და გულმკერდის მთავარ სისხლძარღვებზე ჩატარდა 15160 ოპერაცია. ნერვული სისტემაზე - 6737, ენდოკრინული სისტემაზე - 3101, მათ შორის - 2984 ფარისებრ ჯირკვალზე. ქალის სასქესო ორგანოებზე განხორციელდა 16495 ოპერაცია, წინამდებარე ჯირკვალზე - 1843. 2019 წელს თირკმლის გადანერგვის 13 ოპერაცია ჩატარდა.

ძვალ-კუნთოვანი სისტემის ოპერაციებს შორის მენჯ-ბარძაყის სახსრის პროთეზირება ჩატარდა 5165 (2018 წელს - 4187) შემთხვევაში, მუხლის სახსრების პროთეზირება - 670 შემთხვევაში, კიდურის მისი ნაწილის და მენჯ-ბარძაყის ნაწილის ამპუტაციის 2206 ოპერაცია განხორციელდა.

ცხრილი 3.12 ქირურგიული ოპერაციები სტაციონარში, საქართველო, 2019**(ფორმა 066-ის და საყოველთაო ჯანდაცვის შეჯამებული მონაცემები)**

ქირურგიული ჩარევები ანატომიური ლოკალიზაციის მიხედვით	ოპერაციების რაოდენობა
სულ	239119
<i>მათ შორის:</i>	
ნერვული სისტემა	6737
თავის ქალას და ქალასშიდა სტრუქტურები	2631
ზურგის ტვინი	3483
პერიფერიული ნერვული სისტემა	609
ენდოკრინული სისტემა	3101
ფარისებრი ჯირკვალი	2984
პარათირეოიდექტომია	60
თირკმელზედა ჯირკვალი	56
თვალი და მისი დანამატები	38375
გლაუკომის მიზეზით	1714
კატარაქტის მიზეზით	6567
ყური, ცხვირი და ყელი	11619
ყური	803
კბილები, ყბები, პირის ღრუ და ხახა	19511
ენა და პირის ღრუს ფსკერი	391
გული და გულმკერდის მთავარი სისხლძარღვები	15160
სამკარიანი სარქველი	51
კორონარული არტერიების შუნტირება	2741
სტენტირება	6672
გულმკერდის კედელი, პლევრა, შუასაყარი, დიაფრაგმა, ტრაქეა, ბრონქები და ფილტვები	2443
სარმევე ჯირკვალი	3376
საჭმლის მომნელებელი სისტემა	43010
შარდსასქესო სისტემა, კაცის სასქესო ორგანოები და რეტროპერიტონეალური სივრცე	14153
თირკმლის გადანერგვა	13
წინამდებარე ჯირკვალი	1843
ქალის სასქესო ორგანოები	16495
სამეანო პროცედურები	23220
ძვალკუნთოვანი სისტემა	25310
პერიფერიული სისხლძარღვები და ლიმფური სისტემა	7969
კანი	8573
ორგანოების და ქსოვილების შეძენა ტრანსპლანტაციისთვის	44

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემა ქვეყნის მოსახლეობას უზრუნველყოფს უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით. 2019 წელს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მიერ განხორციელებულ იქნა 1 526 434 გამოძახებაზე გასვლა, რაც, ისევე როგორც 2018 წელს, 1 სულ მოსახლეზე 0.4-ს შეადგენს.

ცხრილი 3.13 სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საქართველო

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაწესებულებების საერთო რაოდენობა	75	78	75	104	78	79	82	73	78
გასვლების საერთო რაოდენობა	966493	1061690	1231225	1247588	1479212	1617704	1451725	1520836	1526434
პირთა რაოდენობა, რომელთაც გაეწია დახმარება სახელმწიფო პროგრამით	908000	993089	1148445	1201793	1436980	1459415	1345002	1388243	1459301

ცხრილი 3.14 ფიზიკურ პირთა რაოდენობა, რომელთაც გაეწია სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საქართველო

	პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწია	მათ შორის					
		უბედური შემთხვევის დროს		უცაბედი ავად გახდომის დროს		მშობიარობის და პათოლოგიური ორსულობის დროს	
		სულ	%	სულ	%	სულ	%
2008	768167	10912	1.4	751945	979	5310	0.7
2009	883129	14579	1.6	863589	978	4961	0.6
2010	933877	13286	1.4	915319	980	5272	0.6
2011	936614	12323	1.3	919953	982	4338	0.5
2012	1035270	29242	2.8	1001494	967	4534	0.4
2013	1199884	15017	1.3	1179681	983	5186	0.4
2014	1221404	26074	2.1	1188006	973	6484	0.5
2015	1452857	24712	1.7	1417200	975	8734	0.6
2016	1530237	24778	1.6	1494058	976	9068	0.6
2017	1413410	20106	1.4	1382520	97.8	8417	0.6
2018	1463076	23521	1.6	1429291	97.7	7306	0.5
2019	1459301	18451	1.3	1434046	98.3	3728	0.3

2019 წელს სისხლის დონაციების მთლიანი რაოდენობა ყველა ლიცენზირებულ სისხლის ბანკში (22 სისხლის ბანკი) იყო 82 048, აქედან უანგარო დონაციების რაოდენობამ შეადგინა - 27 022 (32.9%).

თავი 4.

იმუნიზაცია




ჯანჯი
და
დაიჯანი!



იმუნიზაცია

საქართველოს მთავრობის ხედვით იმუნიზაცია წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წამყვან პრიორიტეტს, რასაც ნათლად ადასტურებს პროგრამაზე გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ზრდა, 2012 წელს იმუნიზაციის პროგრამაზე 4 მლნ ლარი იყო გამოყოფილი, ხოლო 2019 წელს - 22 800 მლნ ლარი.

სურათი 4.1 იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი (ლარებში)



წყარო: დკსჯეც

არსებული კალენდრის მიხედვით, ქვეყანაში ტარდება შემდეგი 13 ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინირება: ტუბერკულოზი, ჰეპატიტი B, დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, წითელა, ყბაყურა, წითურა, Hib (ჰემოფილუს ინფლუენცა), Rota ვირუსი, პნევმოკოკური, პაპილომავირუსული ინფექცია.

საქართველოს იმუნიზაციის კალენდარი


ვაქცინები	დოზების რაოდენობა	ჩატარების დრო
ბცჟ (BCG)	1	ახალშობილები 0-5 დღე
B ჰეპატიტი (HepB)	1	დაბადებიდან 0-12 საათში
დყატ+ B ჰეპ+ჰი b +იპვ (Hib+DPaT+HepB+IPV)	3	2, 3, 4 თვე
პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა (bOPV)	2	18 თვე, 5 წელი
დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი (DPT)	3	18 თვე
დიფტერია-ტეტანუსი (DT)		5 წელი
ტეტანუსი-დიფტერია (Td)		14 წელი
წითელა, წითურა, ყბაყურა (MMR)	2	12 თვე, 5 წელი
როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (Rota)	2	2, 3 თვე

პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (PCV)	3	2, 4, 12 თვე
ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა (აპვ/HPV)	2	10-11-12 წლის კოჰორტა

ბოლო წლებში იმუნიზაციის კალენდარში 5 ახალი ვაქცინა დაემატა: 2013-ში Rota ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, PCV10 2014 წლის ბოლოს (GAVI-ის მხარდაჭერით), IPV (Penta ვაქცინა ჩანაცვლდა Hexavalent ვაქცინით) 2015 წ., 2016 წელს ბივალენტური პოლიოვაქცინის (bOPV) შემოღება. 2017 წლიდან საქართველოს 4 ტერიტორიულ რეგიონში (თბილისი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი) დაიწყო HPV ვაქცინაცია, რომლის მიზანია იყოს 9 წლის ასაკის გოგონების მოცვა დემოპროგრამაში. 2019 წლის სექტემბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიწყო ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (აპვ) - 10, 11 და 12 წლის გოგონებში.


პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში შესული ყველა ვაქცინა მოსახლეობისთვის უფასოა. მაღალი ხარისხის და უსაფრთხო იმუნიზაციის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აწარმოებს მხოლოდ იმ ვაქცინების შესყიდვებს, რომლებიც პრეკვალიფიცირებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

სურათი 4.2 იმუნიზაციით მოცვა (%), საქართველო, 2019



ქვეყანა ინარჩუნებს მოცვის მაღალ მაჩვენებლებს ანტიგენტა უმრავლესობის მიმართ, თუმცა, ზოგიერთი ვაქცინის მიმართ წლიური სამიზნე 95%-იანი მოცვის მაჩვენებლები ამ დროისთვის მიღწეული არ არის.

სურათი 4.3 ერთი წლის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა (%)



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯეც

2002 წლიდან საქართველო სერთიფიცირებულია, როგორც ველური პოლიომიელიტის ვირუსისგან თავისუფალი ქვეყანა.

ცხრილი 4.1 მონაცემები პროფილაქტიკური აცრების შესახებ, საქართველო, 2019

ვაქცინა	ვაქცინაციის ასაკი კალენდრის მიხედვით	აცრილთა რაოდენობა კალენდრის მიხედვით	მოცვა (%)
ბცქ	0 – 5 დღე	46,168	96.2%
ჰეპატიტი ბ – 0	0 – 12 საათი	46,138	96.1%
დფტ+ჰიბ+ჰეპ ბ/დფტ+ჰიბ+ჰეპ ბ+იპვ/დფტ – 1	2 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	46,070	99.9%
დფტ+ჰიბ+ჰეპ ბ+იპვ/დფტ – 3	4 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	43,187	93.6%
დფტ – 4	18 – 24 თვე	42,170	93.4%
პოლიო – 1	2 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	46,070	99.9%
პოლიო – 3	4 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	43,271	93.8%
ოპვ – 4	18 – 24 თვე	42,959	95.0%
ოპვ – 5	5 წლის – 5 წელი 11 თვე 29 დღე	53,273	93.7%
წწყ – 1	12 – 24 თვე	46,955	99.8%
წწყ – 2	5 წლის – 5 წელი 11 თვე 29 დღე	55,306	97.3%
როტა-1	2 თვე	39,638	86.0%
როტა-2	3 თვე	37,271	80.8%
დტ	5 წლის – 5 წელი 11 თვე 29 დღე	53,149	93.5%
პნევმოკოკური - 1	2 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	45,039	97.7%
პნევმოკოკური - 2	3 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	39,259	85.1%
პნევმოკოკური - 3	12 – 15 თვე	39,594	84.1%
ტდ	14 წლის	35,102	88.8%
პაპილომავირუსული-2	10-11-12 წლის გოგონები	7,992	36.3%

2019 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა იმუნიზაციის ელექტრონული მოდული დაიხვეწა აცრების რეგისტრაციის პროცესი ისევე, როგორც იმუნიზაციის მარაგების და ვაქცინების მართვის საკითხები. სისტემაში ჩადებული იქნა სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტები.

თავი 5.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა




წითელას სიმპტომები:

- ხველა
- გამონადენი ცხვირიდან (რინიტი)
- თვალის სიწითლე და ცრემლდენა
- გამონაყარი ჩნდება პირველი სიმპტომების დაწყებიდან 3-5 დღის შემდეგ

გადამდები ავადმყოფობები


2019 წელს საქართველოში აღინიშნება ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობებით ინციდენტობის კლება როგორც მთლიან პოპულაციაში, ასევე ბავშვებში, ხოლო, ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების მცირე მატება როგორც მთლიან პოპულაციაში, ასევე ბავშვებში (სურათი 5.1, სურათი 5.2).

სურათი 5.1 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც

სურათი 5.2 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები ბავშვებში (0-15 წლამდე ასაკის 100000 ბავშვზე), საქართველო



წყარო: დკსჯეც

ცხრილი 5.1 ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო

	სულ		ბავშვები 0-15 წლამდე	
	რაოდენობა	ინციდენტობა	რაოდენობა	ინციდენტობა
2008	47124	1224.5	25120	3656.2
2009	63510	1665.0	34583	5054.9
2010	71642	1891.9	39265	5730.1
2011	64378	1713.8	34362	5025.7
2012	83014	2226.2	46129	6766.2
2013	104868	2820.8	57197	8369.6
2014	96151	2585.1	45123	6501.3
2015	109557	2940.9	60213	8468.6
2016	102159	2740.7	49916	6875.0
2017	89756	2407.6	45954	6219.1
2018	102424	2748.6	53089	7081.5
2019	94895	2550.8	44521	5883.1

ინფექციური დაავადებებით ბავშვთა ჰოსპიტალიზაციის ძირითად მიზეზებს ნაწლავური ინფექციები წარმოადგენდა. კერძოდ, 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში ნაწლავური ინფექციებით (ასკ10-ის კოდები A04, A08, A09) ჰოსპიტალიზაციის წილი ინფექციურ დაავადებებში 45.5%-ს, ხოლო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში – 48.3%-ს შეადგენდა.

ცხრილი 5.2 ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები, სტაციონარული მომსახურება, საქართველო

	2018			2019		
	სტაციონარიდან გავიდა	მათ შორის გარდაიცვალა	ლეტალობა %	სტაციონარიდან გავიდა	მათ შორის გარდაიცვალა	ლეტალობა %
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	31152	344	1.1	34211	306	0.9
<i>მათ შორის</i>						
ნაწლავური ინფექციები	14075	19	0.1	13502	10	0.1
რესპირაციული ტუბერკულოზი	1563	23	1.5	1251	23	1.8
მენინგოკოკური ინფექცია	15	2	13.3	13	3	23.1
სეპტიცემია	1093	181	16.6	971	74	7.6
ვირუსული ჰეპატიტი	1870	57	3.0	1906	59	3.1
ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული ავადმყოფობა	900	29	3.2	216	2	0.9

ცხრილი 5.3 ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები, 0–15 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება, საქართველო

	2018				2019			
	სტაციონარიდან გავიდა		მათ შორის 0-1 წლამდე		სტაციონარიდან გავიდა		მათ შორის 0-1 წლამდე	
	სულ	ლეტალობა	სულ	ლეტალობა	სულ	ლეტალობა	სულ	ლეტალობა
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	16814	0.1	3635	0.2	18681	0.03	4254	0.05
<i>მათ შორის</i>								
ნაწლავური ინფექციები	9192	0.03	2024	0.0	9069	0.01	2056	0.05
რესპირაციული ტუბერკულოზი	61	0.0	2	0.0	44	0.0	0	0.0
მენინგოკოკური ინფექცია	12	8.3	5	0.0	10	10.0	1	0.0

**ცხრილი 5.4 ზოგიერთი შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობები,
ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო, 2019**

	სულ		მ.შ. ზავშვები	
	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ზავშვზე
დიფთერია	1	0.0	0	0.0
ყივანახველა	290	7.8	250	33.0
ტეტანუსი	2	0.1	0	0.0
მწვავე დუნე დამბლა	4	0.1	4	0.5
წითელა	3918	105.3	1457	192.5
წითურა	9	0.2	6	0.8
ყბაყურა	26	0.7	22	2.9
სხვა ვირუსული ჰეპატიტები	43	1.2	1	0.1
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	3	0.1	0	0.0
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	31	0.8	0	0.0
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	1401	37.7	4	0.5
ჰეპატიტი C	8671	233.1	749	99.0
სხვა სალმონელოზი	245	6.6	99	13.1
შიგელოზი	332	8.9	267	35.3
ენტეროჰემორაგიული ემერიხიოზი	33	0.9	13	1.7
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	38717	1040.7	15561	2056.3
ბოტულიზმი	11	0.3	0	0.0
სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები	15345	412.5	10019	1323.9
ტულარემია	2	0.1	1	0.1
ჯილეხი	10	0.3	0	0.0
ბრუცელოზი	185	5.0	19	2.5
ლაიმის დაავადება (ბორელიოზი)	315	8.5	52	6.9
პოქსვირუსებით გამოწვეული დაავადებები	32	0.9	3	0.4
Q ცხელება, პარტახტიანი ტიფი, ლაქოვანი ცხელება და სხვა რიკეტსიოზები	14	0.4	2	0.3
ცოფი	1	0.0	0	0.0
სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	10	0.3	0	0.0
ჰანტავირუსული ინფექცია	16	0.4	2	0.3
ყირიმ - კონგოს ჰემორაგიული ცხელება	8	0.2	0	0.0
ლეპტოსპიროზი	403	10.8	22	2.9
ქუნთრუშა	971	26.1	914	120.8
ჩუტყვავილა	6135	164.9	5141	679.3
ვირუსული მენინგიტი	9	0.2	4	0.5
ბაქტერიული მენინგიტი	73	2.0	7	0.9
მენინგოკოკემია	12	0.3	9	1.2
N. meningitidis გამოწვეული მენინგიტი	0	0.0	0	0.0
S.pneumoniae გამოწვეული ინფექცია	0	0.0	0	0.0
S. pneumoniae გამოწვეული მენინგიტი	3	0.1	1	0.1
M. tuberculosis გამოწვეული მენინგიტი	37	1.0	1	0.1
აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	12	0.3	5	0.7
საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	65	1.7	0	0.0
ნოზოკომიური პნევმონია	389	10.5	30	4.0
ნოზოკომიური ბაქტერიემია (სეფსისი)	85	2.3	22	2.9
ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	47	1.3	1	0.1
ლეიშმანიოზი	35	0.9	34	4.5
ექინოკოკოზი	310	8.3	11	1.5

მალარია (მალარიის 9 შემთხვევა იყო შემოტანილი)	8	0.2	0	0.0
ტრიქინელოზი	1	0.0	0	0.0
ამებიოზი	107	2.9	16	2.1
ფასციოლოზი	89	2.4	7	0.9
სოკოთი მოშხამვა	275	7.4	50	6.6
შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	100	2.7	15	2.0

COVID-19

2019 წლის დეკემბერში ქალაქ ვუჰანში (ჰუბეის პროვინცია, ჩინეთი) წარმოშობილი მწვავე მიმღე რესპირატორულ სინდრომთან დაკავშირებული კორონავირუსი 2, რომელსაც COVID-19 ეწოდა, 21-ე საუკუნის მესამე ზოონოზური კორონავირუსული აფეთქებაა, როდესაც ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა მოხდა და წარმოიქმნა ჯანმრთელობის გლობალური პრობლემა.

საქართველოში COVID-19-ის გამოსავლენად PCR მეთოდის გამოყენებით ტესტირება დაიწყო 2020 წლის 30 იანვარს. 30 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში ქვეყანაში ჩატარებული PCR ტესტების რაოდენობა არის 648 736, მათ შორის 642 541 - პირველადი. 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში განხორციელებულია 176 642 ანტისხეულებზე დაფუძნებული სწრაფი მარტივი ტესტირება. ანტიგენზე დაფუძნებულ სწრაფი მარტივი ტესტირების რაოდენობამ შეადგინა 167 532.

PCR ტესტირების ე.წ. დადებითობის შედეგის სიხშირე (positivity rate) პირველი დადასტურებული შემთხვევიდან 30 სექტემბრამდე 1.02%-ს შეადგენდა.

საქართველოში პირველი დადასტურებული შემთხვევა 26 თებერვალს იყო რეგისტრირებული. დადასტურებული ახალი შემთხვევების სწრაფად მზარდი დინამიკის შესაბამისია ინციდენტობის მაჩვენებელიც - 26 თებერვლიდან 10 სექტემბრამდე ინციდენტობის მაჩვენებელი მცირე ცვლილებებით ხასიათდებოდა და 0,1-0,7 დიაპაზონში მერყეობდა. 10 სექტემბრიდან, დადასტურებული შემთხვევების მკვეთრი მატების ფონზე, ინციდენტობის მაჩვენებელი 9-ჯერ გაიზარდა და 6,6 შეადგინა.

30 სექტემბრის მდგომარეობით, COVID-19 დაუდასტურდა 6 640 ადამიანს, კუმულაციური ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე -178.6 (95% CI 174.4-182.9).

საქართველოში COVID-19-ის მიმდინარეობის სხვა ეპიდემიოლოგიური მახასიათებლებიდან აღსანიშნავია, რომ პირველი შემთხვევის დაფიქსირებიდან პირველ ოქტომბრამდე შემთხვევების გაორმაგების პერიოდი საშუალოდ 19 დღეა, ხოლო ეფექტური რეპროდუქციის ინდექსი R_t 1,45-ს შეადგენდა (95% CI 1,39-1,51).

COVID-19-ით დაავადებული პირველი პაციენტი ჰოსპიტალიზებულ იქნა 2020 წლის 26 თებერვალს, პირველი გამოჯანმრთელებული პაციენტი კლინიკიდან გაეწერა 16 მარტს. 30 სექტემბრის მდგომარეობით გამოჯანმრთელებულთა ჯამურმა რაოდენობამ

შეადგინა 3 419 (52%) ადამიანი. 30 სექტემბრის მდგომარეობით, ლეტალურად დასრულდა 39 შემთხვევა (ლეტალობის მაჩვენებელი 0.59%).

ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოში უკანასკნელ წლებში აღინიშნება ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების ტენდენცია, თუმცა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს.


სახეზეა საქართველოში მნიშვნელოვანი პროგრესი ტუბერკულოზთან ბრძოლაში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტუბერკულოზის პრევალენტობა შემცირდა დაახლოებით 9%-ით. ეპიდზედამხედველობის მდგრადი სისტემის მონაცემებით, ეს ტენდენცია დაავადების ინციდენტობის ჭეშმარიტი კლების შედეგია. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს აჭარის რეგიონის შეუერთდა „ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივას“; ასევე შემუშავდა და დაინერგა ტუბერკულოზის მართვის განახლებული გაიდლაინი.

2019 წელს ყველა ფორმის ტუბერკულოზის 2448 შემთხვევა აღირიცხა (ყველა ფორმის ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების მაჩვენებელმა 100000 მოსახლეზე 65.8 შეადგინა), მათ შორის 1896 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა 100000 მოსახლეზე - 53.1). ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 78.6% ფილტვის ტუბერკულოზზე მოდიოდა. 2019 წელს რეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზი (MDR) დაუდგინდა 319 პაციენტს.

ცხრილი 5.5 ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები, საქართველო

	ტუბერკულოზის ყველა ფორმა				ფილტვის ტუბერკულოზი			
	ახალი შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები და რეციდივები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები და რეციდივები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე
2008	4148	94.3	4318	98.2	2931	66.6	3195	72.6
2009	4457	101.0	4757	107.8	3174	72.0	3449	78.2
2010	4383	98.4	4679	105.1	3228	72.5	3519	79.0
2011	4223	94.2	4554	101.6	3167	70.6	3490	77.8
2012	3778	84.1	3942	87.8	2834	63.1	2995	66.7
2013	3133	69.8	3434	76.5	2412	53.8	2693	60.0
2014	2807	75.3	3200	85.9	2149	57.7	2496	67.0
2015	2622	70.5	3152	84.8	2006	54.0	2483	66.8
2016	2463	66.2	2983	80.2	1901	51.1	2371	63.7
2017	2164	58.0	2597	69.6	1687	45.3	2068	55.5
2018	1944	52.2	2320	62.3	1527	40.9	1863	50.0
2019	1896	50.9	1977	53.1	1499	40.3	1583	42.5

სურათი 5.3 ტუბერკულოზით ავადობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც; ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

ცხრილი 5.6 ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო

	ტუბერკულოზის ყველა ფორმა		მშ ფილტვის ტუბერკულოზი	
	რეგისტრირებული შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რეგისტრირებული შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე
2008	5836	132,7	4471	116.2
2009	5978	135,5	4587	120.3
2010	5796	130,2	4524	119.5
2011	5533	123,4	4369	116.3
2012	4974	110,8	3905	104.7
2013	4319	96,2	3502	94.2
2014	3850	103.3	3094	83.2
2015	3611	97,1	2916	78.3
2016	3330	89.5	2709	72.7
2017	2927	78.5	2373	63.7
2018	2590	69.5	2118	56.8
2019	2448	68.5	2014	54.1


ცხრილი 5.7 ფილტვარეშე ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო

	2016		2017		2018		2019	
	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე
ფილტვარეშე ტუბერკულოზის შემთხვევები	620	16.7	551	14.7	472	12.7	434	11.7
ტვინის გარსების ტუბერკულოზი	61	1.6	49	1.3	45	1.2	62	1.7
ძვალ-სახსართა ტუბერკულოზი	105	2.8	99	2.7	71	1.9	53	1.4

უროგენიტალური ტუბერკულოზი	75	2.0	49	1.3	63	1.7	38	1.0
ტუბერკულოზური პლევრიტი	182	4.9	169	4.5	163	4.4	133	3.6
ლიმფური კვანძების და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი	197	5.3	185	4.9	130	1.4	69	1.9

ტუბერკულოზის ახალი შემთხვევებისა და რეციდივების 1.8% დაფიქსირებულია პენიტენციურ სისტემაში (2018 წელს - 2.0%). 2019 წელს ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 79.2% ფილტვის ტუბერკულოზზე მოდიოდა. ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების მიუხედავად, საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს (სურათი 5.4).


სურათი 5.4 ტუბერკულოზის ინციდენტობა, ჯანმო-ს შეფასება



წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასებების ინსტიტუტის პროგნოზული გათვლებით, საქართველოში მოსალოდნელია ტუბერკულოზით ავადობის კლების ტენდენცია (სურათი 5.5).

სურათი 5.5 ტუბერკულოზის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: <http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs>

2019 წლის (2018 წლის კოჰორტა) მონაცემებით, ფილტვის ახალი მგბ+ ტუბერკულოზის წარმატებული კურნალობის მაჩვენებელი 83%-ია.

ცხრილი 5.8 12 თვის წინ რეგისტრირებული ფილტვის ახალი მგბ+ ტუბერკულოზის მკურნალობის შედეგები, საქართველო (2018 კოჰორტა)

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობა	2143	2028	1647	1332	1003	782	725	604	581
მათ შორის %									
განკურნება	67.0	68.3	65.6	64.1	73.0	77.1	77.3	77	77.0
დასრულებული მკურნალობა	9.5	7.7	8.8	7.1	7.9	6.0	6.6	5	6.0
უშედეგო მკურნალობა	1.9	3.1	4.3	3.8	4.6	4.6	3.7	6	5.0
გარდაიცვალა	2.9	2.3	2.0	3.2	4.2	4.3	3.4	4	5.0
შეწყვეტილი მკურნალობა	6.7	5.1	5.5	6.6	7.7	6.5	6.7	5	5.0
შეუფასებელი შემთხვევები	1.4	1.2	2.3	2.9	2.7	1.4	2.0	3	2.0

ჯანმო-ს ახალი სტატისტიკური მონაცემებით, საქართველო აღარ მიეკუთვნება მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მხრივ მაღალი ტვირთის მქონე მსოფლიოს ქვეყანათა რიცხვს. ბოლო წლებში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მართვაში წინგადადგმული ნაბიჯია, რაც გამოიხატება ახალი მედიკამენტების გამოყენებაში. 2019 წელს მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზი (MDR) დაუდგინდა 278 პაციენტს.

მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB) 12%-ში ექსტენსიურად რეზისტენტული ტუბერკულოზი აღინიშნება (XDR-TB): 2017 წლის მონაცემებით ის 15%-ს, ხოლო 2018 წელს – 18%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს - 12% შეადგენდა.

აივ-ინფექციის მქონე პაციენტთა წილი 2019 წელს RR/MDR შემთხვევების 4%-ს შეადგენს. 2019 წელს RR/MDR ტუბერკულოზის ახალი და ნამკურნალები შემთხვევების ხვედრითი წილი ფილტვის ტუბერკულოზის შემთხვევებში 12.1% და 32.1% იყო შესაბამისად.

გლობალური ფონდის დახმარებით საქართველომ მოახერხა ეფექტური ანტი-TB მკურნალობის დანერგვა როგორც სენციტიური, ასევე MDR პაციენტებისთვის. ქვეყანამ უზრუნველყო როგორც პირველი რიგის, ასევე მეორე რიგის მედიკამენტების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ახალი ანტიტუბერკულოზური პრეპარატები ხელმისაწვდომია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დანერგილია მედიკამენტების უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემა. ჯანმო-ს ახალი სტატისტიკური მონაცემებით, საქართველო აღარ მიეკუთვნება მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მხრივ მაღალი ტვირთის მქონე მსოფლიოს ქვეყანათა რიცხვს. ბოლო წლებში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მართვაში წინგადადგმული ნაბიჯია, რაც გამოიხატება ახალი მედიკამენტების გამოყენებაში. პაციენტის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით თბილისში ვიდუო დაკვირვების (VOT) პილოტური პროგრამა დაიწყო. დღეს VOT-ის მეშვეობით წამალს იღებს 280 პაციენტი.

2019 წლიდან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დაიწყო ECHO-TB დისტანციური შეხვედრები აჭარის

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრების ტბ შემთხვევის მენეჯერებთან, რომლის მთავარი მიზანია კონსულტაციები ტუბერკულოზის მართვის საკითხებში და მათთვის სალექციო თემების მიწოდება ტუბერკულოზის ეპიდზედამხედველობის სხვადასხვა საკითხზე.

განახლდა ტუბერკულოზის ინდექს-პაციენტის კონტაქტირებულთა კვლევის მეთოდური რეკომენდაცია, რომელიც დამტკიცდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული რეკომენდაცია მიზნად ისახავს კონტაქტების კვლევის გაუმჯობესებას.

ქვეყანამ დანერგა ჯანმოს მიერ რეკომენდებული დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები: კულტურა თხევად ნიადაგზე, GeneXpert MTB/RIF სისტემები TB-ის და MDR-TB-ის სწრაფი დიაგნოსტიკისთვის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წელს ტუბერკულოზი, როგორც სიკვდილის პირველადი მიზეზი, აღირიცხა 76 შემთხვევაში, ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2.0 იყო (2018 წელს - 92 სიკვდილის შემთხვევა, მაჩვენებელი - 2.5).

აივ-შიდსი

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით საქართველო დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება. 2019 წელს საქართველოში აივ-ის 668 ახალი შემთხვევა აღირიცხა (ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე – 18.0).

სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, უსაფრთხო სისხლის და აივ-ინფექცია შიდსის პროგრამების ფარგლებში) ბოლო წლებში მიმდინარეობდა ორსულთა, დონორთა, მაღალი ქცევითი რისკისა და სხვა ჯგუფების, მ.შ. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ბრალდებულების/მსჯავრდებულების ნებაყოფლობითი შემოწმება აივ/შიდს-ზე. 2019 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ იქნა 441 119 ტესტირება. სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ანგარიშით ჩატარებულია 35233 სკრინინგული ტესტირება.

გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში კი მაღალი ქცევითი რისკის ჯგუფების წარმომადგენლებს (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, კომერციული სექს მუშაკი-ქალები, მამაკაცთან სექსის მქონე კაცები) მიეწოდებოდა აივ პრევენციული პაკეტით განსაზღვრული მომსახურებები, მათ შორის აივ ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება.


გაეროს 90-90-90 სამიზნეებთან (აივ ინფიცირებულთა 90%-მა იცის საკუთარი ინფიცირების შესახებ; აივ ინფიცირებულთა 90% იღებს არვ მკურნალობას; მკურნალობაზე მყოფ აივ ინფიცირებულთა 90%-ში მიღწეულია აივ სუპრესია - სისხლში აივ ვირუსის ნულოვანი დონის შენარჩუნება) მიმართებაში ქვეყანას მნიშვნელოვანი პოზიციები აქვს მეორე და მესამე სამიზნეზე, თუმცა ჩამორჩება პირველ 90-თან დაკავშირებით. კერძოდ, 2019 წელს აივ ახალი შემთხვევების 30.4 % (2018 წელს-40.6%) დიაგნოსტირებულია შიდსის სტადიაზე.

რეგიონის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, საქართველოში მაღალია გაეროს მეორე და მესამე 90 სამიზნეების შესრულება - ანტირეტროვირუსულ მკურნალობაში აივ ინფიცირებულთა ჩართვისა და ვირუსული სუპრესიის მიღწევის მაჩვენებლები.

სახელმწიფო და გლობალური ფონდის დაფინანსებით უზრუნველყოფილია შიდსით დაავადებულთა უნივერსალური ხელმისაწვდომობა (აფხაზეთის მოსახლეობის ჩათვლით) ანტირეტროვირუსულ პრეპარატებზე.


საქართველოს ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამა აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესოდ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. პროგრამა ხასიათდება მაღალი მოცვით, მდგრადობით, მიწოდებული სერვისების მაღალი ხარისხით ქვეყნის მასშტაბით. საქართველომ რეგიონში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა „მკურნალობა ყველასათვის“ სტრატეგია, რაც აივ/შიდს-ით დაავადებულებში მკურნალობის დაწყებას გულისხმობს CD4 უჯრედების რაოდენობის მიუხედავად, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მკურნალობის გამოსავალს და ხელს უწყობს ქვეყანაში აივ/შიდსის გავრცელების ტემპის შეჩერებას (სურათი 5.6, სურათი 5.7, სურათი 5.8).

სურათი 5.6 აივ ინფექციის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“ & დკსჯეც

სურათი 5.7 აივ ინფექციის ინციდენტობა 1000 მოსახლეზე, საქართველო




წყარო: <http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs>

ცხრილი 5.9 აივ ინფექციის ახალი შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით, საქართველო

გადაცემის გზა	2017	2018	2019
ნარკოტიკის ინექციური მოხმარება	23.5	16.2	17.1
ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კონტაქტი	54.0	62.8	68.0
ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტი	20.6	19.5	14.1
ვერტიკალური გადაცემა (დედიდან შვილზე)	0.5	0.00	0.4
სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმა	0.8	0.9	0.3
დაუდგენელი	0.6	0.6	0.1

წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სპ ცენტრი

სურათი 5.8 აივ ინფიცირებულთა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით, 2019



წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სპ ცენტრი

ცხრილი 5.10 აივ/შიდსის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო

	1990	2000	2010	2015	2016	2017	2018	2019
სულ	0	2.0	11.6	19.2	19.3	16.9	18.0	18.0
მათ შორის 15-24 წლის მოსახლეობა	0	1.6	2.8	9.1	14.5	14.1	25.4	16.5

ცხრილი 5.11 აივ-ინფექციის ახლად გამოვლენილი შემთხვევები სქესის მიხედვით, საქართველო

	2017		2018		2019	
	სულ	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	სულ	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	სულ	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
კაცი	499	27.9	513	28.6	508	28.4
ქალი	132	6.8	159	8.2	160	8.3
ორივე სქესი	631	16.9	672	18.0	668	18.0

ცხრილი 5.12 აივ-ინფექციის ახალი შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით, საქართველო

	2017		2018		2019	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ნარკოტიკების ინექციური მომხმარება	148	23.5	109	16.2	114	17.1
ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კონტაქტები	341	54.0	422	62.8	454	68.0
ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტები	130	20.6	131	19.5	94	14.1
სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმა	5	0.8	0	0.00	2	0.3
ვერტიკალური გადაცემა	3	0.5	6	0.9	3	0.4
დაუდგენელი	4	0.6	4	0.6	1	0.1
სულ	631	100.0	672	100.0	668	100.0

ცხრილი 5.13 შიდსით დაავადებულებში ლეტალობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით, საქართველო

	2017		2018		2019	
	გარდაიცვალა	%	გარდაიცვალა	%	გარდაიცვალა	%
აივ-თან დაკავშირებული	77	55.4	74	54.8	57	48.7
დაუკავშირებელი	25	18.0	33	24.4	29	24.8
უცნობი	37	26.6	28	20.7	31	26.5
სულ	139	100.0	135	100.0	117	100.0


2019 წელს გაგრძელდა 2017 წელს დაწყებული აივ ექსპოზიციამდე არც პროფილაქტიკური მკურნალობის პილოტური პროგრამა (PrEP) მსმ პოპულაციის წარმომადგენლებისთვის, რაც შესაძლებლობას იძლევა არც პროფილაქტიკური მკურნალობის ფონზე თავიდან ავიცილოთ მაღალი რისკის მქონე პირების აივ ინფიცირება. დაგეგმილია პროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და მასში სხვა მაღალი რისკის პოპულაციების ჩართვა.

ვირუსული ჰეპატიტი C (HCV)

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველო C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების მქონე ქვეყნებს შორისაა. თუმცა აღნიშნულის მიზეზი საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. უახლესი პოპულაციური სეროპრევალენტობის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში C ჰეპატიტის გავრცელების მაჩვენებელი 7,7%-ია, აქტიური დაავადება კი 5,4%-ს აქვს. აღნიშნული კვლევა ჩატარდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა (დკსჯეც) და აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) მიერ, 2015 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში.


2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მოდულში რეგისტრირებულია 2.8 მილიონზე მეტი სკრინინგი, მათ შორის, ტესტირებულ პირთა რაოდენობა 1.7 მილიონზე მეტია, ხოლო დადებითობის მაჩვენებელი 7.82%-ია (სურათი 5.9, 5.10).

სურათი 5.9 სკრინინგით გამოკვლეულ პირთა რაოდენობა და გამოვლენის მაჩვენებელი სქესის მიხედვით



წყარო: დკსჯეც


სურათი 5.10 სკრინინგით გამოკვლეულ პირთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და გამოვლენის მაჩვენებელი



წყარო: დკსჯეც

ქვეყნის მასშტაბით 42 ცენტრი (მ.შ. ერთი – პენიტენციურ სისტემაში) ელიმინაციის პროგრამის ბენეფიციარებს სთავაზობს HCV დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისებს. პროგრამის დაწყებიდან (2015 წლის აპრილი) 2019 წლის 30 ივნისამდე, 52053-მა პაციენტმა დაასრულა მკურნალობა. განკურნების მაჩვენებელი 98.1%-ს შეადგენს.

სურათი 5.11 C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მკურნალობის კასკადი, 28.04.2015 – 30.06. 2020



* ეხება პირადი ნომრის მქონე პირებს, არ მოიცავს 15 ნიშნა კოდის მქონე პირებს

** ასაკი ≥ 12 ვისზეც არ არსებობს სიკვდილობის მონაცემები კონფიდენციალ ტესტირებამდე

2019 წელს C ვირუსული ჰეპატიტის 8 671 ახალი შემთხვევა აღირიცხა (ინციდენტობის მაჩვენებელი - 233.1), მათ შორის ბავშვებში 749 შემთხვევა (ინციდენტობა - 99.0).

წითელა

საქართველოში წითელა სავალდებულო რეგისტრაციას და ეპიდზედამხედველობას ექვემდებარება. ქვეყანაში წითელათი ავადობის მნიშვნელოვანი მატება 2004 და 2013 წლებში დაფიქსირდა. 2013 წლის პიკი განპირობებულია 2008 წელს იმუნიზაციის მასობრივი კამპანიის წარუმატებლობით. აღნიშნულმა ხელი შეუწყო მოსახლეობის არაიმუნური ფენის დაგროვებას, რაც წითელათი ავადობის ეპიდემიური მატების პირობა გახდა. ავადობის ტვირთი, ძირითადად, 1 წლამდე და 15-30 წლის ასაკის მოსახლეობაში დაფიქსირდა.


2013 წლიდან, ეპიდემიის გავრცელების შეკავების მიზნით, განხორციელდა დამატებითი კამპანიური ღონისძიებები: 14 წლამდე ასაკის ბავშვთათვის წითელას საწინააღმდეგო აცრების კურსის დასრულება და დამატებითი აცრის ჩატარება 15-30 წლის ასაკის მოსახლეობის, სამედიცინო მუშაკებისა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტისთვის. 2013-2015 წლებში წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი დოზა დაახლოებით 150 000 მოქალაქემ მიიღო. შედეგად, ქვეყანაში წითელათი ავადობამ მნიშვნელოვნად იკლო - 2015 წელს აღრიცხული იყო

წითელას 431 შემთხვევა, 2016 წელს - 14 შემთხვევა. 2017 წელს წითელას შემთხვევათა რიცხვმა მოიმატა (94 შემთხვევა).

2018 წელს შემთხვევების (2017 წ.- 94; 2018 წ.- 2199) და, შესაბამისად, ინციდენტობის მნიშვნელოვანი ზრდა (2017 წ.-1.68, 2018 წ.-59.01) იყო დაფიქსირებული.

2019 წლის დასაწყისში, როგორც ევროპის უმრავლეს ქვეყნებში, აღინიშნა წითელას ეპიდაფეთქება, რომლის მართვა წარმატებით მოხერხდა, ჩატარდა 170000 ადამიანის დამატებითი იმუნიზაცია, განსაკუთრებით 20-40 წლის ასაკობრივ ჯგუფში. 2019 წელს წითელას 3928 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 1457 - ბავშვებში, ინციდენტობის მაჩვენებელი შესაბამისად -105.3 100000 მოსახლეზე და 192.5 100000 ბავშვზე (სურათი 5.12).

სურათი 5.12 წითელა, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე




წყარო: დეკჯეც

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება

2014 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების აფეთქებას. მთლიან მოსახლეობაში აღირიცხა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 24 შემთხვევა (ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე - 0.64). გარდაიცვალა 4 ადამიანი (ლეტალობის მაჩვენებელი - 16.6). 2016 წელს ზედამხედველობა დამყარდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 41 საექმო შემთხვევაზე, მ.შ. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების დიაგნოზი დადასტურდა 6 შემთხვევაში, რომელთაგან 2 დასრულდა ლეტალურად (ორივე ახალი კერა - ამბროლაური და თერჯოლა). 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია - აღირიცხა 5 შემთხვევა. 2019 წელს ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 8 შემთხვევა აღირიცხა (2018 წელს - 12 შემთხვევა) (სურათი 5.13).

სურათი 5.13 ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, საქართველო




წყარო: დეკჯეც

ცოფი

ათი წლის განმავლობაში (1997-2006) საქართველოში რეგისტრირებული იყო ცოფის 96 შემთხვევა, ხოლო მომდევნო წლებში (2007-2014) - 42. ადამიანებში ცოფით დაინფიცირების მაქსიმალური რიცხვი - 21 შემთხვევა - დაფიქსირდა 1996 წელს.

ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა წელიწადში დაახლოებით 35000–49000 ადამიანს უტარდება. ანტირაბიული ვაქცინებითა და შრატით (იმუნოგლობულინი) უწყვეტი მომარაგების ფონზე, 2015 წელს პირველად იქნა მიღწეული ადამიანთა ცოფით დაავადების ნულოვანი მაჩვენებელი, რომელიც 2016-2017 წლებშიც იქნა შენარჩუნებული. 2018 წელს, სამი წლის ნულოვანი მაჩვენებლის შემდეგ, ცოფის 2 შემთხვევა დაფიქსირდა. 2019 წელს 61893 შემთხვევაში აღინიშნა ადამიანის კონტაქტი ცოფით სავარაუდო ინფიცირებულ ცხოველთან (2018 წელს - 59420). აქედან 53558 ადამიანმა ჩაიტარა ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მათ შორის კომბინირებული (ვაქცინა+იმუნოგლობულინი) პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 18.5%. 2019 წელს საქართველოს მოსახლეობაში დაფიქსირდა ცოფის 1 შემთხვევა, რომელიც დაფიქსირდა აფხაზეთის ტერიტორიაზე (სურათი 5.14).

სურათი 5.14 ცოფის შემთხვევების რაოდენობა, საქართველო




წყარო: დეკჯეც

მალარია

2002 წლიდან მალარიის ინციდენტობის მაჩვენებელი მკვეთრი შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა და 2013-2014 წლებში იგი ნულს გაუტოლდა. 2018 წელს ზედამხედველობა დამყარდა 11 საექმო შემთხვევაზე, რომელთაგან მალარია დადასტურდა 9 შემთხვევაში (ყველა შემოტანილი). დადასტურებულ შემთხვევებში 3 იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე და 6 საქართველოს მოქალაქე, რომლებიც მუშაობდნენ საზღვარგარეთ.

2018 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროებმა ერთობლივად განახორციელეს 9 261 030 მ² გარე და შიდა ტერიტორიების ვექტორ კონტროლი (2016 წელს - 7 500 000 მ², 2017 – 9 000 000 მ²). 2019 წელს მალარიის 8 შემოტანილი შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოში (ერთი იყო უცხოელი, 7 საქართველოს მოქალაქე) (სურათი 5.15).

სურათი 5.15 მალარიის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



წყარო: დეკჯეც

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

ბოლო წლებში საქართველოში აღინიშნება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შემთხვევათა რაოდენობის მატება. შემთხვევათა ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩევა ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი და სიფილისი, რომელთაც მოყვება გენიტალური ჰერპესი და გონორეა.

ცხრილი 5.14 სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ახალი შემთხვევები, საქართველო

	2017		2018		2019	
	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა ა 100000 მოსახლეზე	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა ა 100000 მოსახლეზე	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
სიფილისი	1244	33.4	1243	33.4	1059	28.5
გონოკოკური ინფექცია	798	21.4	765	20.5	738	19.8
ქლამიდიური ინფექცია	2446	65.6	2084	55.9	1599	43.0
ტრიქომონიაზი	5933	159.1	5137	137.8	4422	118.9

ცხრილი 5.15 სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, ახალი შემთხვევების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით, საქართველო, 2019

	სქესი	ასაკობრივი ჯგუფები											
		სულ		0 - 14		15 - 19		20 - 29		30 - 39		40 და მეტი	
		შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა
სიფილისი, ყველა ფორმა	მ	644	36.0	6	1.5	6	5.5	203	82.8	181	143.1	248	31.8
	ქ	415	21.5	3	0.8	1	1.0	104	45.2	125	47.6	182	18.6
გონოკოკური ინფექცია	მ	596	33.3	0	0.0	31	28.4	331	135.0	185	146.3	49	6.3
	ქ	142	7.4	0	0.0	0	0.0	42	18.3	63	24.0	37	3.8
ქლამიდიური ინფექცია	მ	515	28.8	0	0.0	15	13.8	249	101.6	190	150.2	61	7.8
	ქ	1044	54.1	1	0.3	25	25.9	499	216.9	322	122.6	197	20.1
ტრიქომონიაზი	მ	1027	57.4	0	0.0	26	23.8	491	200.3	359	283.9	151	19.4
	ქ	3395	175.9	42	11.6	132	136.8	1489	647.1	1118	425.7	614	62.8

არაგადამდები ავადმყოფობები

საქართველოში არაგადამდებ დაავადებებზე დაავადებათა ტვირთის უდიდესი ნაწილი მოდის და სიცოცხლის ყველაზე პროდუქტიულ წლებზე, და შესაბამისად, არა მხოლოდ ჯანმრთელობაზე, არამედ ქვეყნის მდგრად განვითარებაზეც დიდ გავლენას ახდენს.

არაგადამდებ დაავადებათა ეფექტური პრევენციისა და კონტროლისათვის აუცილებელია ზუსტი და სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის ინდიკატორების მონიტორინგი და განსაზღვრა, ინტერვენციების მონიტორინგი და შეფასება.

2017 წლიდან ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ვრცელდება შემდეგ დაავადებებზე: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები; ფილტვის ქრონიკული დაავადებები; დიაბეტი (ტიპი II); ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება.

2018-2019 წლებში საქართველოში ჩატარდა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) აღნიშნული კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული და მისი მხარდაჭერით ჩატარებული შინამეურნეობების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო კვლევაა მსოფლიოში. MICS-ის ჩატარება 1990-იან წლებში დაიწყო და დღემდე 300-ზე მეტი კვლევა ჩატარდა 100-ზე მეტ ქვეყანაში.


MICS-ი 180-ზე მეტ ინდიკატორს ფარავს, რაც განვითარებისთვის საჭირო ინტერვენციების ზუსტ განსაზღვრას შეუწყობს ხელს (<https://www.unicef.org/georgia/ka/>).

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების წილი ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა დაავადების 15.3%-ს, ხოლო ახალი შემთხვევების 7.4%-ს შეადგენს. ავადმყოფობათა ამ ჯგუფში მაღალი ავადობით და სიკვდილიანობით ხასიათდება ჰიპერტენზიული, იშემიური და ცერებროვასკულური ავადმყოფობები.

2000-2018 წლებში საქართველოში აღინიშნება სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების პრევალენტობის ზრდის ტენდენცია. 2019 წლის მონაცემების მიხედვით ფიქსირდება სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების პრევალენტობის (როგორც წლის განმავლობაში აღრიცხული, ასევე წლის ბოლოს აღრიცხვაზე მყოფი) კლება. ასევე შემცირებულია ახალი შემთხვევების და შესაბამისად, ინციდენტობის მაჩვენებელი, როგორც ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე ბავშვებში (2018 წელი - 277.0; 2019 წელი - 92.1)

სურათი 5.16 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე




წყარო: დესჯეც; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ცხრილი 5.16 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების გავრცელება, საქართველო

	სულ				ბავშვები 0-15 წლამდე			
	წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევები	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევები	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
2008	306573	7966.1	74379	1932.7	5102	742.6	1250	181.9
2009	326421	8557.6	96038	2517.8	4775	697.9	1359	198.6
2010	337651	8916.8	98193	2593.1	4672	681.8	1103	161.0
2011	363488	9676.4	103466	2754.4	4176	610.8	749	109.5
2012	355657	9537.9	133411	3577.8	4044	593.2	823	120.7
2013	425232	11438.1	196348	5281.5	2347	343.4	1739	254.5
2014	409817	11018.3	165398	4446.9	1789	257.8	2069	298.1
2015	425105	11411.4	174735	4690.5	2793	392.8	3581	503.6
2016	447713	12011.1	190994	5123.9	1815	250.0	1731	238.4
2017	429932	10950.6	184729	4955.2	879	119.0	1555	210.4
2018	408233	10954.7	147979	3970.9	993	133.0	2077	277.0
2019	386894	10399.9	140269	3770.5	437	57.7	697	92.1

სურათი 5.17 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები, წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურა (%), საქართველო, 2019



წყარო: დეკჯეც

ცხრილი 5.17 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების სტრუქტურა, საქართველო, 2019

	რეგისტრირებულია წლის ბოლოს				ახალი შემთხვევები			
	სულ		მშ ბავშვები		სულ		მშ ბავშვები	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	386894	100	437	100	140269	100	697	100
<i>მათ შორის:</i>								
მწვავე რევმატული ცხელება	1393	0.4	83	19.0	822	0.6	125	17.9
გულის ქრონიკული რევმატული დაზიანებები	3724	1.0	22	5.0	1424	1.0	30	4.3
ჭიპერტენზიული ავადმყოფობა	241746	62.5	7	1.6	65406	46.6	19	2.7
გულის იშემიური ავადმყოფობა	68779	17.8	0	0.0	21920	15.6	0	0.0
ფილტვში სისხლის მიმოქცევის მოშლა და ფილტვისმიერი გული	1233	0.3	0	0.0	661	0.5	0	0.0
ცერებროვასკულური ავადმყოფობები	10776	2.8	11	2.5	5564	4.0	0	0.0
არტერიების არტერიოლების და კაპილარების ავადმყოფობები	7087	1.8	7	1.6	3032	2.2	6	0.9
გულის სხვა ავადმყოფობები	32861	8.5	197	45.1	16269	11.6	138	19.8

ჰიპერტენზიული ავადმყოფობა

კარდიოვასკულური ავადმყოფობების 2019 წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურაში 62.5% ჰიპერტენზიაზე მოდის (2018 წელს - 64.8%). არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის STEPS 2016-ის მონაცემებით, ჰიპერტენზია მოსახლეობის 37.7%-ში აღირიცხა; ეს მაჩვენებელი 2010 წელს 33.4% იყო.

ცერებროვასკულური ავადმყოფობები

ცერებროვასკულური ავადმყოფობები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების სტრუქტურაში რიგით მესამე ადგილს იკავებს, მათზე წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევების 2.8% მოდის.

გულის იშემიური ავადმყოფობები

2019 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის ახალი შემთხვევების 15.6%-ს გულის იშემიურმა ავადმყოფობებმა შეადგინა (2018 წელს-16.3%): მათ შორის სტენოკარდია – 5.3 (2018წ.- 4.9%); მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი – 2.3 (2018წ.- 2.2%) და სხვა მწვავე იშემიური ავადმყოფობები – 1.9 (2018წ.- 1.5%).

ცხრილი 5.18 გულის იშემიური ავადმყოფობების სტრუქტურა, საქართველო, 2019

	ახალი შემთხვევები	
	რაოდენობა	%
გულის იშემიური ავადმყოფობა	21920	100
სტენოკარდია	7488	34.2
მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	3162	14.4
გულის სხვა მწვავე იშემიური ავადმყოფობა	2651	12.1

ცხრილი 5.19 რევმატიული ავადმყოფობის გავრცელება, საქართველო, 2019

	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
გულის რევმატიული ავადმყოფობა	2246	60.4
მწვავე რევმატიული ცხელება	822	22.1
მათ შორის მწვავე რევმატიული ცხელება გულის დაზიანებით	214	5.8
გულის ქრონიკული რევმატიული ავადმყოფობები	1424	38.3

ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები

ენდოკრინული სისტემის დარღვევების წილი საკმაოდ დიდია არაგადამდებ დაავადებათა შორის, განსაკუთრებით შაქრიანი დიაბეტი და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.

ცხრილი 5.20 ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, საქართველო

	სულ				ბავშვები 0-15 წლამდე			
	წლის ბოლის (კონტინგენტი)	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	წლის ბოლის (კონტინგენტი)	პრევალენტობა 100000 ბავშვზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 ბავშვზე
2008	119864	3114.6	30580	794.6	9356	1361.8	5323	774.8
2009	124793	3271.6	40054	1050.1	9053	1323.3	7982	1166.7
2010	129731	3426.0	43545	1149.9	8124	1185.6	6416	936.3
2011	140267	3734.0	41141	1095.2	7254	1061.0	6494	949.8
2012	133419	3578.0	60284	1616.7	4797	703.6	5222	766.0
2013	150931	4059.8	66824	1797.5	4574	669.3	5514	806.9
2014	173554	4666.2	77902	2094.5	6234	898.2	6101	879.0
2015	173705	4662.9	88758	2382.6	5656	795.5	7896	1110.5
2016	186814	5011.8	85018	2280.8	5059	696.8	6828	940.4
2017	183093	4911.3	87855	2356.6	4796	649.1	7402	1001.8
2018	183487	4923.8	83135	2230.9	5660	755.0	5485	731.6
2019	184354	4955.5	71741	1928.4	5824	769.6	6745	891.3

ცხრილი 5.21 ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, საქართველო

	2018				2019			
	წლის ბოლის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	წლის ბოლის რეგისტრირებული მთხვევების რაოდენობა	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები	183487	4923.8	83135	2230.9	184354	4955.5	71741	1928.4
<i>მათ შორის:</i>								
სუბკლინიკური იოდდეფიციტური ჰიპოთირეოზი და ჰიპოთირეოზის სხვა ფორმები	35357	939.7	22998	611.2	36318	976.2	18096	486.4
თიროიდიტი	8261	219.6	5217	138.7	7753	208.4	3888	104.5
თირეოტოქსიკოზი (ჰიპერთირეოზი)	6329	168.2	3130	83.2	6086	163.6	2524	67.8
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	14277	379.5	2518	66.9	13222	355.4	1552	41.7
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	63271	1681.6	11752	312.3	65478	1760.1	11662	313.5


შაქრიანი დიაბეტი

უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნება დიაბეტის ზრდის ტენდენცია, რაც ძირითადად ტიპი II ზრდით არის გამოწვეული.

2019 წელს შაქრიანი დიაბეტის ტიპი I ახალი შემთხვევების 4.7% (2018წ.-1%) რეგისტრირებული იყო 15 წლამდე ბავშვებში. შაქრიანი დიაბეტის ტიპი II 11 ახალი შემთხვევაა რეგისტრირებული ბავშვებში, რაც 4 ჯერ აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს.

არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის (STEPS-2016) მონაცემებით, უზმოზე გლუკოზის მომატებული მაჩვენებელი (6.1-7.0 მმოლ/ლ) 18-69 წლის მოსახლეობის 2%-ს აღმოაჩნდა, ხოლო უზმოზე გლუკოზის მაღალი მაჩვენებელი (>7მმოლ/ლ) – მოსახლეობის 4.5%-ს (სურათი 5.17).

სურათი 5.17 შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობის მაჩვენებელი დიაბეტის ტიპის მიხედვით, საქართველო



წყარო: დეკჯეც

ცხრილი 5.22 შაქრიანი დიაბეტი, საქართველო

ახალი შემთხვევები	2018		2019	
	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
შაქრიანი დიაბეტი სულ	19054	506.4	16598	446.2
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	2518	66.9	1552	41.7
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	11752	312.3	11662	313.5
წლის ბოლოს მეთვალყურეობაზე მყოფი კონტინგენტი	რაოდენობა	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე
შაქრიანი დიაბეტი სულ	86709	2304.6	78700	2115.5
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	14277	379.5	13222	355.4
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	63271	1681.6	65478	1760.1

ცხრილი 5.23 შაქრიანი დიაბეტი 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში, საქართველო

ახალი შემთხვევები	2018		2019	
	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ბავშვზე	რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ბავშვზე
შაქრიანი დიაბეტი სულ	236	31.5	123	16.3
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	193	25.7	73	9.6
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	3	0.4	11	1.5
წლის ბოლოს მეთვალყურეობაზე მყოფი ავადმყოფები	რაოდენობა	პრევალენტობა 100000 ბავშვზე	რაოდენობა	პრევალენტობა 100000 ბავშვზე
შაქრიანი დიაბეტი სულ	464	61.9	358	47.3
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი I	369	49.2	232	30.7
შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II	11	1.5	49	6.5

სასუნთქი სისტემის ორგანოების ავადმყოფობები

რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობები

რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობების (ასთმა, სასუნთქი სისტემის ალერგიული ავადმყოფობები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები, ფილტვის პროფესიული ავადმყოფობები, პულმონარული ჰიპერტენზია) ჯგუფი სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების ძირითად ნაწილს შეადგენს.

ცხრილი 5.24 სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გავრცელება, საქართველო

	სულ				ბავშვები 0-15 წლამდე			
	რესპირაციული შემთხვევები	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	რესპირაციული შემთხვევები	პრევალენტობა 100000 ბავშვზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 ბავშვზე
2008	362824	9427.8	299800	7790.2	184384	26836.9	169762	24708.7
2009	505340	13248.2	447518	11732.3	259136	37877.3	246604	36045.5
2010	494194	13050.8	439289	11600.9	256897	37490.2	244385	35664.3
2011	558241	14860.9	470741	12531.6	283497	41463.7	259815	38000.0
2012	605179	16229.5	521947	13997.4	299733	43964.7	273598	40131.2
2013	652700	17556.7	557495	14995.8	307330	44971.5	280157	40995.2
2014	701367	18856.9	601832	16180.8	347782	50108.2	317731	45778.5
2015	762210	20460.5	703727	18890.6	351131	49384.3	340217	47849.3
2016	796890	21378.6	744673	19977.8	345386	47570.5	337757	46519.8
2017	704981	18910.4	647066	17356.9	313244	42392.5	305746	41377.8
2018	714425	19171.2	641365	17210.7	300097	40027.9	288774	38517.6
2019	649309	17453.8	583156	15675.6	272370	35991.6	263511	34821.0

2019 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფში ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობებზე - 73% მოდიოდა (2018წ.-75.9%)

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობის ძირითად მიზეზს თამბაქოს კვამლი (პასიური მოხმარების ჩათვლით) და ელექტრონული სიგარეტი წარმოადგენს. სხვა რისკ-ფაქტორებია: შენობის შიდა ჰაერის დაბინძურება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, პროფესიული მტვერი და ქიმიური ნივთიერებები.

ცხრილი 5.25 სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გავრცელება ნოზოლოგიების მიხედვით, საქართველო, 2019

	სულ		0-15 წლამდე ბავშვები	
	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	პრევალენტობა 100000 ბავშვზე	ინციდენტობა 100000 ბავშვზე
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	17453.8	15675.6	35991.6	34821
<i>მათ შორის:</i>				
ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციული ინფექციები	9757.4	9757.3	25198.9	25198.9
პნევმონია	918.1	910.6	1096.3	1095.7
ქვედა სასუნთქი გზების სხვა მწვავე	2707.4	2483.2	5206.5	4892.2


რესპირაციული ინფექციები				
ზედა სასუნთქი გზების სხვა ავადმყოფობები	1870.9	1221.5	3072	2344.1
მათ შორის: ალერგიული რინიტი	334.3	153.4	350.4	200.1
ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობები	1291.3	442.5	269.3	152.1
მათ შორის: ქრონიკული და დაუზუსტებელი ბრონქიტი	739.6	306.8	187.4	121.4
ემფიზემა	28.6	5.9	1.1	0.3
ასთმა და ასთმური სტატუსი	286.7	59	75.5	28.3
ფილტვის სხვა ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები	226.7	68.3	4.9	1.8
ბრონქოექტაზია	9.6	2.6	0.5	0.3
ფილტვის ავადმყოფობები გამოწვეული გარეგანი ფაქტორებით	17.6	11.2	0.3	0.0
სასუნთქი სისტემის სხვა ავადმყოფობები, რომლებიც უპირატესად აზიანებენ ინტერსტიციუმს	20.3	17.7	1.5	1.1
ქვედა სასუნთქი გზების ჩირქოვანი და ნეკროზული მდგომარეობები	2	0.9	0.0	0.0
სასუნთქი სისტემის სხვა ავადმყოფობები	116.7	91.3	65.3	55.5

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები⁷

ონკოლოგიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში 2015 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი.

რეგისტრის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 11099 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 297.9), in situ სიმსივნეების ჩათვლით. 2019 წელს აღირიცხა კიბოს 10339 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 277.9) (სურათი 5.18).

სურათი 5.18 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



წყარო: დკსჯეც

ცხრილი 5.26 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების გავრცელება, საქართველო

	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
2015	11099	297.9
2016	10699	287.0
2017	10149	272.2
2018	10417	279.5
2019	10339	277.9

2019 წელს ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების ~56% ქალებში, ~44% - კაცებში აღირიცხა.

ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების ~68% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან ასაკობრივ ჯგუფში (30 წლიდან 70 წლამდე), შემთხვევათა - 28% - 70 წელზე უფროს ასაკობრივ ჯგუფში, 0-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე მოდის შემთხვევათა 0.8%, 15 - 19 წლის მოზარდებზე - 0.5%.

⁷ კიბოს პოპულაციური რეგისტრის 09.07.2019 მონაცემები


ცხრილი 5.27 ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2019

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	წილი (%) ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში
სარძევე ჯირკვალი	1629	28.3
ფარისებრი ჯირკვალი	855	14.8
კოლორექტუმი	335	5.8
საშვილოსნოს ტანი	327	5.7
საშვილოსნოს ყელი	322	5.6

ცხრილი 5.28 კაცებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2019

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	წილი (%) კაცებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	623	13.6
წინამდებარე ჯირკვალი	548	12.0
შარდის ბუშტი	405	8.8
კოლორექტუმი	376	8.2
ხორხი	215	4.7

სურათი 5.19 კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (ორივე სქესი), საქართველო



წყარო: დკსჯეც

2019 წელს, დაავადების I და II სტადიაზე ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის (in situ და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების გარდა) კიბოს ახალი შემთხვევების ~43%; III და IV სტადიებზე - ~41%, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში სტადია არ იყო იდენტიფიცირებული (სურათი 5.20).

ცხრილი 5.29 კიბოს ახალი შემთხვევები ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო

	2015	2016	2017	2018	2019
სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე	2067	1901	1823	1760	1652
ფარისებრი ჯირკვალი	712	918	932	1091	997
კანის სხვა კიბო	816	691	611	723	797
კოლორექტუმი	842	792	746	771	711
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	863	808	809	757	697
წინამდებარე ჯირკვალი	638	506	477	561	548
შარდის ბუშტი	550	536	574	522	515
გაურკვეველი, მეორადი და დაუზუსტებელი ლოკალიზაცია	323	304	238	328	339
საშვილოსნოს ტანი	369	373	344	372	327
კუჭი	476	447	428	360	322
საშვილოსნოს ყელი	357	406	309	291	322
საჭმლის მომნელებელი სხვა ორგანოები	304	263	275	264	318
საშარდე სისტემის სხვა ორგანოები	277	294	290	296	308
საკვერცხე	343	268	295	267	279
თავის ტვინი	263	273	234	216	267
ხორხი	321	302	277	263	223
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა	103	107	118	166	219
პანკრეასი	142	162	159	205	160
ლიმფოიდური ლეიკემია	62	92	82	114	132
მეზოთელიური და რბილი ქსოვილები	176	138	137	119	121
მიელოიდური ლეიკემია	100	88	98	108	120
ცხრილი 6.10 საკეისრო კვეთის ჩვენება გესტაციური კატეგორიების მიხედვით

	22-27		28-33		34-36		37-38		39-40		>41		სულ	
	N=	%	N=	%	N=	%	N=	%	N=	%	N=	%	N=	%
ვაკუუმ ექსტრაქციის/მაშებით მშობიარობის წარუმატებელი მცდელობა	-	-	-	-	-	-	1	100	-	-	-	-	1	0.0
ეკლამფსია	2	4.8	9	21.4	7	16.7	9	21.4	15	35.7	-	-	42	0.2
საშვილოსნოს გახევა	-	-	2	2.9	6	8.8	28	41.24	31	45.6	1	1.5	68	0.4
ჰიპლარის გამოვარდნა	1	0.9	6	5.5	15	13.6	32	29.1	49	44.5	7	6.4	110	0.6
პლაცენტის წინმდებარეობა	7	4.2	27	16.2	44	26.3	57	34.1	30	18	2	1.2	167	0.9
მკროსომია	-	-	-	-	3	1.5	38	19	140	70	19	9.5	200	1.1
წარუმატებელი ინდუქცია	-	-	2	0.7	10	3.4	71	23.9	154	51.9	60	20.2	297	1.6
ნორმალურად მიმაგრებული პლაცენტის ნაადრევი აღლა	24	6.3	76	19.9	70	18.3	98	25.7	105	27.5	9	2.4	382	2.0
გახანგრძლივებული მშობიარობა/მშობიარო ბა პროგრესის გარეშე	1	0.2	1	0.2	16	3.7	91	21.3	247	57.8	71	16.6	427	2.3
მოსალოდნელი ასფიქსია	1	0.2	16	3.7	52	12	145	33.6	175	40.5	43	10	432	2.3
ნაყოფის გარდიგარდმო მდებარეობა	2	0.4	20	3.6	50	9.1	235	42.6	232	42.1	12	2.2	551	2.9
მენჯით წინმდებარეობა	12	0.6	88	4.5	221	11.2	783	39.8	809	41.1	55	2.8	1968	10.4
დედის სურვილით	-	-	15	0.5	126	4.1	1042	34.2	1701	55.8	167	5.5	3051	16.1
სხვა სამედიცინო ჩვენება	28	0.9	204	6.4	317	9.9	1089	33.9	1443	44.9	134	4.2	3215	17.0
გადატანილი საკეისრო კვეთა	17	0.2	140	1.7	578	7.2	3671	45.7	3591	44.7	28	0.3	8025	42.4
სულ	95	0.5	606	3.2	151 5	8	7390	39	8722	46.1	608	3.2	18936	100

წყარო: დაბადების რეგისტრი


2019 წელს პირველი საკეისრო კვეთის წილი მთლიან საკეისრო კვეთებში შეადგენს 72.1%-ს და ის 61%-ით თანაბრად განაწილებულია 22-27 და 28-33 კვირის გესტაციურ ვადებზე. ყველაზე მაღალი წილი პირველი საკეისრო კვეთის >41 კვირის გესტაციურ ვადაზე მოდის.

სურათი 6.11 საკეისრო კვეთების სიხშირე გესტაციური ასაკის მიხედვით, საქართველო, 2019



წყარო: დაბადების რეგისტრი

სურათი 6.12 საკეისრო კვეთის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2019




წყარო: დაბადების რეგისტრი

ცოცხალშობადობა

დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში ცოცხლად დაიბადა 48296 ბავშვი.

სურათი 6.13 ცოცხლადშობილთა განაწილება გესტაციური ასაკის მიხედვით, საქართველო, 2019



სამშობიარო სახლებში დაბადებულ ცოცხალშობილთა 6.4% წონანაკლული, ხოლო 7.7% - 4000 გრამზე მეტი წონის იყო.

ცხრილი 6.11 სტაციონარში დაბადებული ცოცხალშობილთა წონა დაბადებისას გრამებში, საქართველო, 2019

	<499	500-1499	1500-2499	2500-3499	3500-4499	4500-5499	>5500	სულ
დაიბადა ცოცხალი	10	471	2602	27740	16480	463	2	47768
% ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან	0.02	1.0	5.4	58.1	34.5	1.0	0.004	100.0

ცხრილი 6.12 ბუნებრივ კვებაზე მყოფ ახალშობილთა რაოდენობა (სამშობიარო სახლების მონაცემები), საქართველო


	2018		2019	
	სულ	% ცოცხალშობილთა რაოდენობიდან	სულ	% ცოცხალშობილთა რაოდენობიდან
პირველი საათის განმავლობაში	41244	81.3	39665	83.0
ბუნებრივ კვებაზე მყოფ ახალშობილთა საერთო რაოდენობა	46972	92.6	42454	88.9

მკვდრადშობადობა

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა; თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია. მკვდრადშობადობის მიზეზების შესწავლა კვლავ გამოწვევად რჩება.

საქართველოში 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა მკვდრადშობადობის რიცხვის მატება - აღირიცხა 456 შემთხვევა, მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე 9.4 იყო (ბოლო ხელმისაწვდომი წლის მონაცემებით დსთ - 9.3, ევროკავშირი - 5.3) (სურათი 6.14).

სურათი 6.14 მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე




წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯეც

2019 წელს მკვდრადშობადობის შემთხვევათა ანალიზი ჩატარდა დაბადების რეგისტრის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთა თანახმად, მკვდრადშობადობის 73% მოხდა ანტენატალურ პერიოდში, 13.2% ინტრანატალურ პერიოდში, ხოლო 13.8%-ში ნაყოფის გარდაცვალების დროის დადგენა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ვერ მოხერხდა.

ანტენატალურ პერიოდში მკვდრადშობილთა შორის 29.7% დაფიქსირებულ იქნა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 26.7% - ორსულობის 28-33 კვირაზე, 17.4% და 24.6% შესაბამისად - 34-36 და 37-41 კვირის ორსულობის ვადაზე.

ინტრანატალურ პერიოდში გარდაცვლილ ნაყოფთა (13.2%) შორის შემთხვევათა 53.3% დაფიქსირდა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 18.3% - ორსულობის 28-33 კვირის ვადაზე, ხოლო მკვდრადშობადობის 6.7% დადგა ორსულობის 34-36 კვირის ვადაზე, დანარჩენი ~22% - 37 კვირის და მეტი ვადაზე (სურათი 6.15).

**სურათი 6.15 მკვდრადშობადობა გესტაციური ასაკის მიხედვით (%-ში),
საქართველო, 2019**



წყარო: დეკჯეც

**ცხრილი 6.13 მკვდრადშობილთა წონა გრამებში დაბადებისას,
საქართველო, 2019**

	<499	500 - 999	1000 - 1499	1500-2499	2500-3999	> 4000	სულ
დაბადა მკვდარი	62	161	111	87	29	6	456
% მკვდრადშობილთა საერთო რაოდენობიდან	13.6	35.3	24.3	19.1	6.4	1.3	100.0


დედათა სიკვდილიანობა

ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) ჩარჩოდან მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG) გარდამავალ პერიოდში აუცილებელია დედათა სიკვდილიანობის კომპლექსური შეფასება, რათა გამოვლინდეს წარმატებული მიმართულებები და დაფიქსირდეს არსებული პრობლემები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებში დასახულია დედათა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გაუმჯობესება 2030 წლისთვის. SDG3.1-ით დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის სამიზნე დონე არის 70-ზე ნაკლები 100000 ცოცხალშობილზე გლობალურად. თითოეულმა ქვეყანამ მოახდინა მიზნის ადაპტირება, საქართველოში 2005 წლიდან დედათა სიკვდილიანობა 3%-ით გაიზარდა. საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, საქართველოში 2030 წლისთვის დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი სავარაუდოდ მიაღწევს 28.8 (19.0-43.0) სიკვდილს 100000 ცოცხალშობილზე ბავშვზე.

2019 წელს, საქართველოში აღრიცხული იყო სულ 15 დედათა გარდაცვალების შემთხვევა, მათ შორის 14 დედათა ადრეული გარდაცვალების შემთხვევა (დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე = 28.9). დედის გარდაცვალების მიზეზები შემდეგნაირია: ემბოლია - 26% (4 შემთხვევა, მათ შორის 1 გვიანი გარდაცვალება), პრეეკლამფსია/ეკლამფსია - 20% (3 შემთხვევა), პლაცენტის ნაადრევი აცლა - 7% (1 შემთხვევა), საშვილოსნოს გახევა სამშობიარო მოქმედების დროს - 7% (1 შემთხვევა), სხვა დაზუსტებული ავადმყოფობები და მდგომარეობები, რომლებიც ართულებს ორსულობას, მშობიარობას და ლოგინობის ხანას - 13% (2 შემთხვევა), ვენური გართულებები ლოგინობის ხანაში - 7% (1 შემთხვევა), სამეანო სიკვდილი დაუზუსტებელი მიზეზით - 7% (1 შემთხვევა), სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები, რომლებიც ართულებს ორსულობას, მშობიარობას და ლოგინობის ხანას - 7% (1 შემთხვევა), ფსიქიური აშლილობები და ნერვული სისტემის ავადმყოფობები, რომლებიც ართულებს ორსულობას, მშობიარობას და ლოგინობის ხანას - 7% (1 შემთხვევა).


სურათი 6.16 დედათა სიკვდილიანობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით, საქართველო



წყარო: <https://vizhub.healthdata.org/gbd-foresight/>

ქვეყნების დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შეფასებებს ახორციელებენ სხვადასხვა სააგენტოები/ინსტიტუტები, როგორცაა, მაგალითად, გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი (Maternal Mortality Estimation Inter-agency Group - MMEIG) და ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი (Institute for Health Metrics and Evaluation – IHME) (სურათები 6.16, 6.17, 6.18, 6.19).


სურათი 6.17 დედათა სიკვდილიანობა სხვადასხვა წყაროს მიხედვით, საქართველო



წყარო: დაავადებათა კონტროლის ცენტრი, საქსტატი

სურათი 6.18


დედათა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გართულებებით გამოწვეული გარდაცვალების პროგნოზი, ასაკ-სპეციფიური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 რეპროდუქციული ასაკის ქალზე, საქართველო



წყარო: <https://vizhub.healthdata.org/gbd-foresight/>

სურათი 6.19

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო: <http://www.thelancet.com/lancet/visualisations/qbd-SDGs>

გაერო-ს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სააგენტოს მსოფლიოს მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ 2020 წლის ანგარიშში მოცემულია საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ზოგიერთი ინდიკატორი:

რეპროდუქციული ჯანმრთელობა	დედათა სიკვდილიანობა (100 000 ცოცხალშობილზე), 2017		25
	დედათა სიკვდილიანობის სარწმუნოების ინტერვალი (UI 80%), 2015 შეფასებითი	მინიმუმი	21
		მაქსიმუმი	29
	კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი (%), 2014-2019		99
	მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი 15-19 წლამდე ასაკის 1000 გოგონაზე, 2003-2018		32
	ბავშვთა ქორწინება (18 წლამდე), %, 2005 - 2019		14
	კონტრაცეპციის გავრცელება რეპროდუქციული ასაკის (15-49) ქალებში, 2020	ნებისმიერი მეთოდი	46
		თანამედროვე მეთოდი	32
	ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, რეპროდუქციული ასაკის (15-49) ქალებში, 2020		13

წყარო: https://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/UNFPA_PUB_2020_EN_State_of_World_Population.pdf

ბავშვთა ავადობა**ცხრილი 6.14 ახალშობილთა ავადობა (“დაბადების” რეგისტრის მონაცემები), საქართველო, 2019**

	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 1000 ცოცხლადშობილზე
სულ	6422	134.4
ნაყოფის და ახალშობილის დაზიანებები, გამოწვეული დედისეული ფაქტორებითა და ორსულობის, სამშობიარო მოქმედებისა და მშობიარობის გართულებებით	3	0.1
ორსულობის ხანგრძლივობასთან და ნაყოფის ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებული დარღვევები	2554	53.5
სამშობიარო ტრავმა	115	2.4
პერინატალური პერიოდისათვის დამახასიათებელი რესპირაციული და გულ-სისხლძარღვოვანი დარღვევები	1487	31.1
პერინატალური პერიოდისათვის დამახასიათებელი ინფექციები	1046	21.9
ნაყოფისა და ახალშობილის ჰემორაგიული და ჰემატოლოგიური დარღვევები	508	10.6
ნაყოფისა და ახალშობილისათვის დამახასიათებელი გარდამავალი ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები	17	0.4
ნაყოფისა და ახალშობილის საჭმლის მომნელებელი სისტემის დაზიანებები	13	0.3
ნაყოფისა და ახალშობილის კანის საფარისა და თერმორეგულაციის ცვლილებები	23	0.5
პერინატალურ პერიოდში აღმოცენებული სხვა დარღვევები	294	6.2
ნერვული სისტემის განვითარების თანდაყოლილი ანომალიები	16	0.3
თვალის, ყურის, სახისა და კისრის თანდაყოლილი ანომალიები	4	0.1
სისხლის მიმოქცევის სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	87	1.8
სასუნთქი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	2	0.0
ცხვირის განვითარების მანკების ერთობლივად დადგენისათვის		0.0
საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	44	0.9
სასქესო ორგანოების თანდაყოლილი ანომალიები	93	1.9
საშარდე სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	7	0.1
ძვალ-კუნთოვანი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები და დეფორმაციები	85	1.8
სხვა თანდაყოლილი ანომალიები	16	0.3
ქრომოსომული დარღვევები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	8	0.2

2019 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის 57601 ახალი შემთხვევა (2018 წელს - 69615), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-1 წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე – 1162.1 (2018 წელს - 1336.2). ავადობის სტრუქტურაში 57.7% (2018 წელს - 61.1%) სუნთქვის ორგანოების, და 7.3% ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობებზე მოდიოდა.

ცხრილი 6.15 ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის ძირითადი მიზეზები, 2019

	ინციდენტობა ერთ წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე
სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები	740.5
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	85.4
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	61.0
კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	44.0
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	36.9
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	33.2

2019 წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 26534 ბავშვს (2018 წელს - 24546), მათ შორის 42.7% (2017 წელს - 41%) სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გამო, 26.6% (2018 წელს - 27.9%) - პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების გამო, 16.2% (2018 წელს - 14.8%) ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების გამო.

ცხრილი 6.16 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2019

	ჰოსპიტალიზაციების რაოდენობა	ლეტალობა %
სულ	26534	1.2
<i>მათ შორის:</i>		
ინფექციური ავადმყოფობები	4302	0.05
სიმსივნეები	84	1.2
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	211	0.5
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	12	0.0
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	169	3.6
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	14	0.0
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	31	0.0
სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობები	27	18.5
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	11321	0.1
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობები	342	1.5
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	67	0.0
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	12	0.0
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	505	0.2
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ცალკეული მდგომარეობები	7050	3.4
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	763	5.1
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	1158	0.7
ტრავმები, მოწამვლენი და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	432	0.0
ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე	34	0.0

2019 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის 219908 ახალი შემთხვევა (2018 წელს - 261434), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე – 804.9 (2018 წელს - 937.4).

0-5 წლამდე ბავშვთა ავადობის სტრუქტურაში 65.2% სუნთქვის ორგანოების (2018 წელს - 58.6%), 10.3% - ინფექციურ და პარაზიტულ ავადმყოფობებზე მოდიოდა (2018 წელს - 11.4%).

ცხრილი 6.17 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის ძირითადი მიზეზები, საქართველო, 2019

	ინციდენტობა ხუთ წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე
სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები	524.9
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	83.3
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	35.7
კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	28.5
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	25.9
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	24.9

2019 წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 71273 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვს (2018 წელს - 62206), მათ შორის 51.3% სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გამო (2018 წელს - 48.7%), 18.6% ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების გამო (2018 წელს - 19.1%), 8.9% - ტრავმების, მოწამვლების და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგების გამო (2018 წელს - 26.7%).

ცხრილი 6.18 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2019

	ჰოსპიტალიზაციების რაოდენობა	ლეტალობა %
სულ	71273	0.5
<i>მათ შორის:</i>		
ინფექციური ავადმყოფობები	13271	0.04
სიმსივნეები	546	1.5
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	206	0.0
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	93	1.1
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	2	0.0
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	473	1.9
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	126	0.8
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	165	0.0
სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობები	52	13.5
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	36586	0.1
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობები	1181	0.5
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	223	0.0
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	168	0.0
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	1552	0.1
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ცალკეული მდგომარეობები	7131	3.3
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	1561	2.6
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	4990	0.2
ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების შედეგები	2809	0.1
ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე	138	0.7

ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მონაცემებით, 2019 წელს 0-15 წლის ბავშვებში რეგისტრირებული იყო ყველა კლასის ავადმყოფობათა 474501 ახალი შემთხვევა (2018 წელს - 525563), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-15 წლის ასაკის 100000 ბავშვზე – 62698.3 (2017 წელს - 70103.1).

ინციდენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების კლასში - 34819.1 (2018 წელს - 38517.6), მათ შორის მაღალი იყო ავადობა ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციული ინფექციებით (მაჩვენებელი - 25197.5), პნევმონიით (მაჩვენებელი - 1095.7 და ქვედა სასუნთქი გზების სხვა მწვავე რესპირაციული ინფექციებით (მაჩვენებელი - 4891.9).

ცხრილი 6.19 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის ძირითადი მიზეზები, საქართველო, 2019

ავადობის მიზეზი	ინციდენტობა 15 წლამდე ასაკის 100000 ბავშვზე
სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები	34819.1
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	6571.4
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	5882.8
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების სხვა შედეგები	3687.5
ყურისა და დერილისებრი მორჩის ავადმყოფობები	2299.2
კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	2200.7
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	2021.4

საანგარიშო წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 113170 0-15 წლამდე ასაკის ბავშვს (2018 წელს - 98285).

ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი მაღალი იყო სასუნთქი სისტემის, ინფექციური და პარაზიტული, პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების და ტრავმების, მოწამვლების და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შედეგების კლასებში.

ცხრილი 6.20 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2019

	ჰოსპიტალიზაციების რაოდენობა	ლეტალობა %
სულ	113170	0.4
<i>მათ შორის:</i>		
ინფექციური ავადმყოფობები	18858	0.04
სიმსივნეები	1050	1.2
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	572	0.3
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	627	0.3
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	112	0.0
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	890	1.5
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	277	0.0
ყურისა და დერილისებრი მორჩის ავადმყოფობები	490	0.0
სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობები	150	6.0
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	57314	0.1
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობები	4457	0.2
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	473	0.0
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	655	0.0
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	2701	0.1
მშობიარობა, ორსულობა, ლოგინობის ხანა	15	0.0
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ცალკეული მდგომარეობები	7131	3.3
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	2289	1.8
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	7595	0.2
ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	6916	0.1
ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე	598	0.2

ბავშვთა სიკვდილიანობა


ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალურად ნეონატალური სიკვდილიანობის წილი 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობაში 45%-ს შეადგენს. 2019 წელს საქართველოში ნეონატალური სიკვდილიანობის წილმა 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 55.3% შეადგინა (2017 წ. - 58.9; 2018 წ. - 50.9%), (სურათი 6.19).

ცხრილი 6.21 ნეონატალური და პერინატალური სიკვდილიანობა, საქართველო

წელი	0-28 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	0-7 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	7-28 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	პერინატალური სიკვდილიანობა 1000 დაბადებულზე
2010	9.6	6.6	3.0	17.4
2011	8.5	6.1	2.4	15.6
2012	9.2	6.6	2.7	17.7
2013	8.4	6.7	1.7	16.1
2014	7.2	5.1	2.1	15.5
2015	5.8	3.8	2.1	13.6
2016	6.3	4.1	2.2	13.8
2017	6.8	4.5	2.3	13.8
2018	5.0	3.2	1.7	11.7
2019	5.2	2.8	2.4	12.1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური


სურათი 6.20 ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო: <https://vizhub.healthdata.org/qbd-foresight/>; სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური მონაცემებით, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებზე 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევების თითქმის 75% მოდის. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 2019 წელს ეს წილი 84%-ს შეადგენდა (2018 წელს - 83.4%). ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველა წყაროს მონაცემებით კლების დინამიკით ხასიათდება (სურათი 6.21).

სურათი 6.21 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 6.22 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო

წყარო	2000	2005	2010	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
საქსტატი	27.3	29.5	16.9	14.6	13.2	9.5	8.6	9.0	9.6	8.1	7.9
IGME	30.9	21.7	14.6	12.6	11.7	11.3	10.6	10.5	10	8.7	
GERHS	41.6	21.1	14.1	-	-	-	-	-	-	-	

2019 წელს 0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის სტრუქტურაში 69.5%-ს პერინატალური პერიოდის ავადმყოფობები შეადგენდა (2018 წელს - 68.5%).


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, კლების ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი აღემატება ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს.

საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა ათასწლეულის განვითარების მიზანს მიაღწია, როგორც ოფიციალური სტატისტიკის, ასევე საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებების (ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი - IGME) და ფართომასშტაბიანი კვლევების (რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა - Georgian Reproductive Health Survey GERHS, ავადობის გლობალური ტვირთის კვლევა - აგტკ (Global Burden of Disease Study – GBD) მონაცემებით. მნიშვნელოვანია, რომ GBD-ის და IGME-ს შეფასებები გლობალურ და რეგიონალურ დონეზე თითქმის გათანაბრდა, თანხვედრამ 98%-ს მიაღწია (სურათი 6.22).

ცხრილი 6.23 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო


წყარო	2000	2005	2010	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
საქსტატი	30.1	31.5	18.9	16.7	15.6	10.9	10.2	10.7	11.1	9.8	9.4
IGME	35.3	24.5	16.4	14.1	13.1	12.6	11.9	გოგო -10 ბიჭი - 12	--	9.8	
GBD	36.2	28.0	21.8	-	-	-	17.4	11.7	--	--	-
RHS	45.2	25.1	16.4	-	-	-	-	-	--	--	-

სურათი 6.22 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური


სურათი 6.23 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტის (IHME) მონაცემები საქართველოში 0-1 წლამდე და 0-5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ წარმოდგენილია სურათზე 6.24.

სურათი 6.24 0-1 წლამდე და 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



	1990	2019
5-წლამდე	42.4	10.5
1-წლამდე	37.5	8.9

წყარო: <http://www.healthdata.org/georgia>


თავი 7.

რისკის ფაქტორების კვლევები



ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი (IHME), რომელიც ახორციელებს მსოფლიოში ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემების დამოუკიდებელ, ზუსტ და შედარებად კვლევებს, სწავლობს ჯანმრთელობაზე რისკ-ფაქტორების ზემოქმედებას, კერძოდ, რისკ-ფაქტორებით გამოწვეული შეზღუდული შესაძლებლობებით განპირობებული დაკარგული სიცოცხლის წლების (DALY) ოდენობას. მნიშვნელოვანია რისკ-ფაქტორების ზემოქმედების სიმძიმის ცვლილების შესწავლა დროის გარკვეულ პერიოდში. ბოლო გამოქვეყნებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 7.1.

სურათი 7.1 10 წამყვანი რისკ-ფაქტორი, რომელიც განაპირობებს DALY-ს საერთო რიცხვს, 2009-2019 წლების პროცენტული ცვლილება, ყველა ასაკი, საქართველო



წყარო: <http://www.healthdata.org/georgia>

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები სასკოლო ასაკის ბავშვებში (HBSC), საქართველო, 2018

კვლევა ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონულ ოფისთან თანამშრომლობით. HBSC საერთაშორისო კვლევა ტარდება 4-წლიანი ინტერვალით, 2017-2018 წლებში იგი 45 ქვეყანაში ჩატარდა. კვლევის მიზანია მოზარდების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გაუმჯობესება იმ ფაქტორების გამოვლინებით, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

HBSC კვლევა საქართველოში 2018 წელს პირველად ჩატარდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ. კვლევით

მოპოვებულ იქნა მტკიცებითი ინფორმაცია მოზარდების ჯანმრთელობასთან ასოცირებული ქცევებისა და ცხოვრების წესის შესახებ.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 123 საჯარო და კერძო სკოლის 11, 13 და 15 წლის 4235 მოზარდმა. ასაკობრივი ჯგუფები შერჩეულია მათი ზრდა-განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების გამო. თვითშეფასების კითხვარი შეივსო გაზაფხულის სემესტრის პერიოდში, საკლასო ოთახებში.

კვლევაში მონაწილე მოზარდების უმეტესი ნაწილი საკუთარ ჯანმრთელობას აფასებს, როგორც საუკეთესოს ან კარგს, მოზარდების 40% აცხადებს, რომ მათი ჯანმრთელობა "შესანიშნავია", ხოლო 43% საკუთარ ჯანმრთელობას „კარგს“ უწოდებს

ბიჭები უფრო ხშირად აფასებდნენ საკუთარ ჯანმრთელობას დადებითად, ვიდრე გოგონები. გოგონები, თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, უფრო ხშირად უჩიოდნენ სუსტ ჯანმრთელობას, ყველაზე მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნება.

კვლევის მონაწილე მოზარდების 10% აქტიურად ცდილობს წონის დაკლებას, წონის კონტროლის სიხშირე ასაკთან ერთად იზრდება; წონის დაკლებას ცდილობს 15 წლის გოგონების მესამედზე მეტი (39%).

ახალგაზრდების უმრავლესობა აღნიშნავს ცხოვრებით კმაყოფილების მაღალ (76%) დონეს, ცხოვრებით კმაყოფილება სხვადასხვაა და მეტწილად დაკავშირებულია საცხოვრებელ ადგილთან. ყველაზე მაღალი ქულები დაფიქსირდა თბილისში. „უგუნებობა“ სულ მცირე კვირაში ერთი დღე, აღნიშნა ბიჭების 15%-მა და გოგონების 24%-მა. დეპრესიული განწყობის გავრცელება 11, 13 და 15 წლის მოზარდთა შორის თითქმის ორჯერ მეტია დედაქალაქში (4.2%), ვიდრე სოფელში (2.2%), ხოლო რეგიონალურ ცენტრებსა და ქალაქებში დეპრესიის პრევალენტობამ შეადგინა 3%.

ბიჭების დაახლოებით 89% და გოგონების 85% იშვიათად განიცდის მარტობას. მოზარდების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ისინი ადვილად ურთიერთობენ თანატოლებთან. 87% აცხადებს, რომ მარტივად უმეგობრდებიან სხვებს. ქალაქში მცხოვრები მოზარდები შედარებით დეპრესიულები არიან, უჭირთ თანატოლებთან მეგობრობა და ურთიერთობა და თავს მარტოსულად გრძნობენ. იმ გოგონათა შორის, რომლებიც ხშირად გრძნობენ თავს უგუნებოდ, 55% დედაქალაქის მაცხოვრებელია, 25% ცხოვრობს სხვა დიდ ქალაქებში, ხოლო 20% სოფლის მაცხოვრებელია.


11-15 წლის მოზარდების 7% აღნიშნავს ქრონიკული დაავადებასა (დიაბეტი, ართრიტი, ალერგია და ა.შ) და/ან შეზღუდული შესაძლებლობის (სმენის პრობლემა, მხედველობის პრობლემა, მოძრაობის შეზღუდვები და ა.შ.) არსებობას. ქრონიკული დაავადების გამო მედიკამენტურ მკურნალობაზე იმყოფებოდა მოზარდების 6%. შემთხვევების 3%-ში დაავადების არსებობამ გავლენა მოახდინა სკოლაში დასწრებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე.

ახალგაზრდების 54% კბილებს დღეში ერთხელ იხეხავს. მნიშვნელოვანი ცვალებადობა შეიმჩნევა სქესის მიხედვით: ყველა ასაკობრივ ჯგუფში გოგონები უფრო ხშირად იხეხვენ კბილებს (ერთჯერ და მეტჯერ), ვიდრე ბიჭები. თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში მცხოვრები მოზარდების 57%-მა აღნიშნა, რომ კბილებს დღეში ერთხელ იხეხავს. ეს მონაცემი სოფლის მაცხოვრებელ მოზარდებს შორის 48%-ია.

სიცოცხლის განმავლობაში თამბაქო ერთხელ მაინც მოუწევია 11 წლის ასაკის გოგონების 2%-ს და ბიჭების 5%-ს, მაჩვენებლები ასაკთან ერთად იზრდება და 15 წლის

ასაკში 17%-ს უტოლდება (ბიჭები-23% და გოგონებში-9%). ბოლო 30 დღის განმავლობაში **თამბაქოს მოხმარება** ასევე ყველაზე მაღალია 15 წლის მოზარდებში - 10% (ბიჭების 16% და გოგონების 4%).


სურათი 7.2 თამბაქოს მოხმარება (%) ბოლო 30 დღის განმავლობაში ასაკისა და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018



15 წლის მოზარდების 28% (ბიჭების 34% და გოგონების 23%) აღნიშნავს, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი. როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში ყველაზე პოპულარული სასმელია ღვინო, პოპულარობის მეორე ადგილს ლუდი იკავებს.


11 წლის თითქმის ყოველი მეხუთე და 13 წლის ყოველი მესამე მოზარდი აცხადებს, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი. ეს წილი ყველაზე მაღალია 15 წლის ასაკში. ბოლო 1 თვის განმავლობაში **ალკოჰოლის მიღების** მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და იზრდება ასაკის მატებასთან ერთად.

სურათი 7.3 ალკოჰოლის მოხმარება (%) სიცოცხლის განმავლობაში და ბოლო 30 დღის განმავლობაში ასაკისა და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018



მოზარდები, რომლებსაც სიცოცხლის განმავლობაში მიუღიათ ალკოჰოლი, საკმაოდ ხშირად აღნიშნავენ სიმთვრალის ფაქტებს; მაჩვენებელი იზრდება ასაკის მატებასთან ერთად.

სურათი 7.4 სიმთვრალე (%) სიცოცხლის განმავლობაში და ბოლო 30 დღის განმავლობაში ასაკისა და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018



15 წლის ასაკის გამოკითხულთა დაახლოებით 3%-მა აღნიშნა *კანაფის (მარიხუანა, ჰაშიში) მოხმარება* სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო 2%-მა ბოლო ერთი თვის განმავლობაში. როგორც ბიჭებმა, ასევე გოგონებმა, რომლებმაც მოიხმარეს კანაფი, აღნიშნეს, რომ კანაფის გამოყენებას ექსპერიმენტის სახე ჰქონდა.

15 წლის მოზარდთა 16%-მა აღნიშნა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც *უთამაშია*, მათგან 28%-ს კი უთამაშია ბოლო 12 თვის განმავლობაში. ბიჭები უფრო ხშირად თამაშობენ, ვიდრე გოგონები. რესპოდენტთა 45%-მა, რომელსაც უთამაშია ერთჯერ ან მეტჯერ ბოლო 12 თვის განმავლობაში, აღნიშნა, რომ უთქვამს ტყუილი აზარტული თამაშებთან დაკავშირებით. იმ რესპოდენტთა, ვისაც უთამაშიათ ერთჯერ ან მეტჯერ ბოლო 12 თვის განმავლობაში, 13%-მა, აღნიშნა, რომ სურს თამაშის შეწყვეტა; 7%-მა კი აღნიშნა, რომ თამაშობს ფულის გამო.


კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოზარდები თანატოლებთან ურთიერთობისათვის ფართოდ *იყენებენ სოციალურ მედიას*. სოციალური მედიის გამოყენება 2-ჯერ ხშირია სოფლად მცხოვრები მოზარდებში (42%) დედაქალაქში მცხოვრებ მოზარდებთან (21%) შედარებით. ქალაქში მცხოვრები მოზარდების 25% ასევე სარგებლობს სოციალური მედიით.

მოზარდების 85% ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს, 12% ცხოვრობს მხოლოდ დედასთან, ხოლო 2% მხოლოდ მამასთან. კვლევის მონაწილეთა 42% აღწერს საკუთარ ოჯახს, როგორც „ძალიან კარგს“ და მხოლოდ 0.2% ამბობს, რომ „საერთოდ არ არის კარგი“.

მოსწავლეთა უმეტესობა აღნიშნავს ოჯახის წევრების მხრიდან მხარდაჭერას. მოზარდების 67%-მა მიუთითა, რომ ოჯახის წევრების მხრიდან აქვთ ემოციური მხარდაჭერა და მათ ხშირად ეხმარებიან გადაწყვეტილების მიღებაში.


HBSC კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდების 49% ყოველ დღით საუზმობს. შედარებით უფროსი ასაკის მოზარდები რეგულარულად არ საუზმობენ, მათი უმეტესობა ქალაქის მაცხოვრებელია. როგორც ხილს, ასევე ბოსტნეულს ყოველდღიურად მოიხმარს კვლევაში მონაწილეთა მხოლოდ 14%. მოზარდთა 29% ყოველდღიურად მოიხმარს ტკბილეულს და შოკოლადს ან კოლას და სხვა შაქრიან სასმელებს, მაჩვენებლები იზრდება ასაკის მატებასთან ერთად.

სურათი 7.5 ხილისა და ბოსტნეულის ყოველდღიური მოხმარება (%) ასაკის და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018




კვლევის შედეგების მიხედვით, ბიჭები უფრო აქტიურები არიან ვიდრე გოგონები. 11 წლის მოზარდთა 35%-ს ჰქონდა ინტენსიური **ფიზიკური დატვირთვა** 4-6-ჯერ და მეტჯერ კვირაში, იგივე მაჩვენებელი 13 და 15 წლის ასაკში - 30% და 24%-ია, შესაბამისად.

სურათი 7.6 ყოველდღიური ფიზიკური აქტივობა 60 წუთის განმავლობაში (%) ასაკისა და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018



რესპონდენტთა 36.9%-მა აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ჩართული **ფიზიკურ ძალადობაში**. ბიჭები უფრო ხშირად არიან ჩართული ფიზიკურ ძალადობაში, ვიდრე გოგონები.


სურათი 7.8 ბოლო 12 თვის განმავლობაში ფიზიკური ძალადობის გავრცელება (%) ასაკის და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018




40%-მა აღიარა, რომ მრავალჯერ იყო ჩართული ფიზიკურ აგრესიაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ბიჭების ფიზიკურ ძალადობაში ჩართულობა იზრდება ასაკთან ერთად. ფიზიკურ ძალადობის მაჩვენებელი შედარებით მაღალია დედაქალაქში მცხოვრებ მოზარდთა შორის (8%), სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 6%, ხოლო სოფლად 5%-ია.

მოზარდთა 17% აღიარებს, რომ *მიუღიათ ბულინგში მონაწილეობა*; მაგალითად, დაუჩაგრავთ სხვები 1-2-ჯერ ბოლო თვის განმავლობაში. კვლევაში მონაწილეთა 14%-მა აღნიშნა, რომ ყოფილა ბულინგის მსხვერპლი ერთხელ მაინც ბოლო თვეების განმავლობაში. 15 წლის მოზარდთა შორის ბულინგის შემთხვევები უფრო ხშირია (42%), ვიდრე 11 და 13 წლის მოზარდებში (32% და 31%, შესაბამისად). კვლევის მონაწილე მოსწავლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ თავად ყოფილან ბულინგის მსხვერპლნი. ასევე აღინიშნა *კიბერბულინგის შემთხვევები*.

სურათი 7.8 კიბერბულინგის განხორციელება (%) ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ასაკისა და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018



სურათი 7.9 კიბერბულინგის მსხვერპლნი (%) ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ასაკისა და სქესის მიხედვით, HBSC, საქართველო, 2018



ტერმინთა შემოკლებები

AFP	Acute Flaccid Paralysis	მწვავე დუნე დამბლა
AIDS	Acquired Immune Deficiency Syndrome	შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
AMR	Anti-microbial Resistance	ანტიმიკრობული რეზისტენტობა
ANC	Antenatal Care	ანტენატალური მოვლა
COPD	Chronic Obstructive Pulmonary Diseases	ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება
CRD	Chronic Respiratory Diseases	ქრონიკული რესპირატორული დაავადება
EDPs	Especially Dangerous Pathogens	განსაკუთრებით საშიში პათოგენები
EIDSS	Electronic Integrated Disease Surveillance System	დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა
GAVI	Global Vaccine Alliance	ვაქცინებისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსი
GBD	Global Burden of Disease Study	ავადობის ტვირთის გლობალური კვლევა
GEL	Georgian Lari	ლარი
GFTAM	Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria	შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი
GLAAS	Global analysis and Assessment of Sanitation and Drinking-Water Survey	სასმელი წყლისა და სანიტარიის გლობალური ანალიზი და შეფასება
HCV	Hepatitis C virus	C ჰეპატიტის ვირუსი
HFA DB	Health For All Data Base	მონაცემთა ბაზა “ჯანმრთელობა ყველასათვის”
HIV	Human Immunodeficiency Virus Infection	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
HPV	Human Papillomavirus	ადამიანის პაპილომა ვირუსი
IGME	Inter-agency Group for Child Mortality Estimation	ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი
IHME	Institute for Health Metrics and Evaluation	ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი
IHR	International Health Regulations	ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები
IPC	Infection Prevention and Control	ინფექციების პრევენცია და კონტროლი
IPV	Inactivated Polio Vaccine	ინაქტივირებული პოლიო ვაქცინა
LB	Live Births	ცოცხალშობადობა
M/XDR	Multidrug and extensively drug-resistant TB	მულტირეზისტენტული და ექსტენსიურად რეზისტენტული ტუბერკულოზი
MDG	Millennium Development Goals	ათასწლეულის განვითარების მიზნები
MDR-TB	Multi Drug Resistant TB	მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი
MMEIG	Maternal Mortality Estimation Interagency Group	გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი
MoLHSA	Ministry of Labor, Health and Social Affairs	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC	National Center for Disease Control and Public Health	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
NEHAP	National Environmental Health Action Plan	გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა
NSO	National Statistics Office of Georgia	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
CR	Population-based Cancer Registry	კიბოს პოპულაციური რეგისტრი
PCR	Polymerase chain reaction	პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია
RHS	Reproductive Health Survey	რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა
SBA	Skilled Birth Attendance	კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობები
SDG	Sustainable Development Goals	მდგრადი განვითარების მიზნები
STI	Sexually Transmitted Infections	სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
TB	Tuberculosis	ტუბერკულოზი
UHC	Universal Health Coverage	ჯანმრთელობის დაცვის უნივერსალური ხელმისაწვდომობა
VOT	Video Observed Therapy	ვიდეო მეთვალყურეობით თერაპია
WASH	Water, Sanitation and Hygiene	წყალი, სანიტარია, ჰიგიენა
WHO	World Health Organization	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
WTO	World Trade Organization	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

გამოყენებული ლიტერატურა

1	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2010, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2011
2	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2011, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012
3	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2012, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013
4	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2013, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2014
5	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2014, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015
6	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2015, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2016
7	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2016, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2017
8	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2017, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2018
9	ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2018, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2019
10	საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2019
11	დაავადებათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია, მე-10 გადახედვა, 1995
12	2019 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქსტატი
13	ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშები, 2001-2017, www.moh.gov.ge
14	Assessing Financing, Education, Management and Policy Context for Strategic Planning of Human Recourses for Health, Thomas Bossert, et al, WHO, 2007
15	Levels and trends in child mortality report, 2019
16	How Universal is Access to Reproductive Health? A review of the evidence September 2010, UNFPA World Health Organization - Non-communicable Diseases (NCD) Country Profiles, 2014 http://www.who.int/nmh/countries/geo_enpdf?ua=1

17	Neonatal and Perinatal Mortality, Country, Regional and Global Estimates, http://www.searowhoint/LinkFiles/Publications_Neonatal_and_Perinatal_Mortality_updatepdf
18	WHO Global NCD Action Plan 2013-2020
19	World Health Statistics, WHO, 2014,2015,2016,2017, 2018, 2019
20	Targets and Indicators for health 2020, Version 2, WHO, 2014
21	Health in 2015 from MDGs to SDGs, WHO, 2015
22	The power of choice, The State of World Population 2018, https://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/UNFPA_PUB_2018_EN_SWP.pdf
23	Health Management Information Systems https://www.uio.no/studier/emner/matnat/ifi/INF5761/index.html#course-content
24	Survey of Information Technology in Healthcare System https://himt.wisconsin.edu/wp-content/uploads/2017/12/HIMT_320_SP16_SurveyOfInfoTechnologyInHealthcare-1.pdf
25	Common Requirements for Maternal Health Information Systems Produced with the Collaborative Requirements Development Methodology https://path.azureedge.net/media/documents/MCHN_mhis_crdm.pdf
26	IHME, Global Health Data Exchange http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool
27	https://dashboards.sdgindex.org/#/GEO
28	Noncommunicable Diseases (NCD) Country Profiles, World Health Organization, 2018
29	https://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/UNFPA_PUB_2019_EN_State_of_World_Population.pdf

პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ლევან საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

გამოქვეყნებული მასალებით სარგებლობისთვის სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის. სასურველია წყაროს მითითება.

გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კახეთის გზატკეცილი N99, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი

E-mail: pr.ncdc@ncdc.ge

პუბლიკაცია განთავსებულია: www.ncdc.ge

გაიცემა უფასოდ